

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა.....	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას.....	22
5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება.....	24
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	25
7. ძირითადი საშუალებები	31
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	32
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	35
11. გადავადებული შემოსავალი	35
12. ვალდებულებები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.....	35
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	36
14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები.....	36
15. ამონაგები	37
16. სხვა შემოსავალი.....	38
17. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები	38
18. სხვა საოპერაციო ხარჯები.....	38
19. ფინანსური რისკის მართვა.....	39
20. რეალური ღირებულების შეფასება	42
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	45
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები.....	46
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	47

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება - კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2019

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისლოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი.#SARAS-A-562091)

2020 წლის 8 ივლისი

თბილისი, საქართველო

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	366,882	371,713
საინვესტიციო ქონება		446	464
არამატერიალური აქტივები		79	114
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	6,567	3,789
სულ გრძელვადიანი აქტივები		373,974	376,080
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,099	1,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	7,901	5,282
გადახდილი ავანსები		991	1,330
ავანსად გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები		678	2,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	59,596	54,607
სულ მოკლევადიანი აქტივები		70,265	64,613
სულ აქტივები		444,239	440,693
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		394,354	394,660
დაგროვილი ზარალი		(98,449)	(100,521)
სულ კაპიტალი		295,905	294,139
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი დავალიანებები		147	198
გადავადებული შემოსავალი	11	122,028	139,305
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14	14,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		136,175	139,503
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	13	10,474	4,838
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	1,685	2,213
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,159	7,051
სულ ვალდებულებები		148,334	146,554
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		444,239	440,693

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2020 წლის 8 ივლისს:

თამარ არჩუაძე
 დირექტორი

ქეთევან ელოშვილი
 ფინანსური მენეჯერი

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	15	67,997	64,159
სხვა შემოსავალი	16	644	1,292
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	7, 8	(17,790)	(18,257)
მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები	17	(15,004)	(11,145)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11,270)	(12,467)
უსაფრთხოების ხარჯები		(9,588)	(9,588)
ხელფასები და სარგებელი		(7,541)	(6,518)
უიმედო ვალების ამოღება/(გაუფასურება)	8, 9	108	(1,365)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(9,284)	(9,835)
საოპერაციო ზარალი		(1,728)	(3,724)
ფინანსური შემოსავალი		2,933	3,734
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		867	9
მოგება დაბეგვრამდე		2,072	19
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		2,072	19
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		2,072	19

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

<i>ათასი ლარი</i>	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ანგარიშგების თანახმად	394,816	(100,040)	294,776
ახალი სტანდარტების დანერგვა	-	(500)	(500)
დაკორექტირებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	394,816	(100,540)	294,276
კაპიტალში შენატანები	58	-	58
კაპიტალიდან გატანა	(214)	-	(214)
წლის მოგება	-	19	19
სულ წლის სრული მოგება	-	19	19
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის	394,660	(100,521)	294,139
კაპიტალში შენატანები	67	-	67
კაპიტალიდან გატანა	(373)	-	(373)
წლის მოგება	-	2,072	2,072
სულ წლის სრული მოგება	-	2,072	2,072
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის	394,354	(98,449)	295,905

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,072	19
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		11,270	12,467
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	7, 8	17,790	18,257
(ამოღება)/ გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია სავაჭრო			
მოთხოვნებსა და სხვა გრძელვადიან მოთხოვნებზე	8, 9	(108)	1,365
გადავადებული ამონაგების ამორტიზაცია	11	(17,277)	(17,277)
ზარალი/ (შემოსულობა) ძირითადი საშუალებების გასვლიდან		86	(10)
ფინანსური შემოსავალი		(2,933)	(3,734)
უცხოური ვალუტის გადაფასების შემოსულობა, წმინდა		(867)	(9)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		10,033	11,078
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში			
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(8,001)	(2,298)
შემცირება მარაგებში		92	7
შემცირება გადახდილ ავანსებში		339	303
შემცირება ავანსად გადახდილ და ანაზღაურებად გადასახადებში		1,525	480
შემცირება სავაჭრო და სხვა დავალიანებებში		4,218	1,313
(შემცირება)/ზრდა მიღებულ ავანსებში		(528)	168
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		7,678	11,051
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2,933	3,771
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		10,611	14,822
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(20,397)	(19,421)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	21
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(7)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(20,397)	(19,407)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან	14	14,000	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		14,000	-
ვალუტის გაცვლის კურსების ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		775	186
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		4,989	(4,399)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	54,607	59,006
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	59,596	54,607

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 1 ნოემბერს. 2011 წლის 19 აპრილს კომპანია შეერწყა სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტს“ და მისი სამართალმემკვიდრე გახდა ყველა არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მდებარეობს საქართველოში და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404389693.

კომპანიის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა („მფლობელი“), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს საქართველოში სამოქალაქო აეროპორტების განვითარებას, ოპერირებასა და ზედამხედველობას. კომპანია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში საერთაშორისო აეროპორტების მფლობელია, ასევე ფლობს მესტიისა და ამბროლაურის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს. ქუთაისის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტების ოპერირებას კომპანია ახორციელებს, ხოლო თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერირება კონცესიური შეთანხმებების ფარგლებში ხორციელდება.

2005 წლის 6 სექტემბერს სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა“ „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის შენობისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შეთანხმებით“ („თავდაპირველი BOT შეთანხმება“) თბილისის აეროპორტის მიწა, ყველა შენობით, მოწყობილობებით, ავტომატქანებით, მანქანა-დანადგარებითა და მარაგით, გამოყენების უფლებით გადასცა შპს „ტავ ურბან ჯორჯიას“ („ტავ“ „ოპერატორი“). აღნიშნული თავდაპირველი BOT შეთანხმებით (რომელშიც ცვლილებები შევიდა 2006 და 2010 წლებში), თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირების უფლების სანაცვლოდ „ტავ“-მა იკისრა ვალდებულება ახალი აეროპორტის ტერმინალისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ასევე კარგი საოპერაციო მდგომარეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კონცესიის პერიოდი თავდაპირველად განისაზღვრა 10,5 წლით ახალ ტერმინალში ოპერაციების დაწყებიდან. ახალ ტერმინალში ოპერაციები დაიწყო 2007 წლის 7 თებერვალს.

2006 წლის 4 აგვისტოს ცვლილება შევიდა თავდაპირველ BOT შეთანხმებაში, „ტავ-ი“ დათანხმდა მინიმუმ 28.5 მილიონი აშშ დოლარის დახარჯვას ბათუმის აეროპორტში, თბილისის აეროპორტის კონცესიის პერიოდის 9.5 წლით გაგრძელების სანაცვლოდ.

2015 წლის 25 მაისს კომპანიის მფლობელმა ბათუმის აეროპორტის მიწა და შენობები შეიტანა კომპანიის კაპიტალში. 2015 წლის 28 მაისს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ შეთანხმება გააფორმა შპს „ბათუმის აეროპორტთან“, რომელიც არის 100%-ით საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში, რომლის მართვას ახორციელებდა შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გადაცემასა და ოპერირებაზე 2027 წლის 10 აგვისტომდე.

2015 წლის 28 მაისს „ტავ-მა“ და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ ხელი მოაწერეს შეცვლილ და შესწორებულ „მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შეთანხმებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებით“ („შესწორებული BOT შეთანხმება“), რომლის შესაბამისად „ტავ-მა“ აიღო დამატებითი ჩამოფრენის ტერმინალისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის ვალდებულება კონცესიის პერიოდის 2027 წლის 21 იანვრამდე გაგრძელების სანაცვლოდ. აღნიშნული დამატებითი ჩამოფრენის ტერმინალის ოპერირება 2017 წლის ივლისში დაიწყო.

ზემოაღწერილი შეთანხმებების შესაბამისად კომპანია ღებულობს პროექტის საზღაურს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორებისგან, რაც წარმოადგენს წილს ჩამოფრენისა და მიწაზე მომსახურების საზღაურიდან, რომელსაც ოპერატორები თავიანთ მომხმარებლებს აკისრებენ. ამასთან, კომპანიის ამონაგები წარმოიქმნება უსაფრთხოების მომსახურებიდან, ავიაკომპანიების თვითმფრინავებისა და მგზავრების უსაფრთხოების მომსახურებისთვის, რაც შესაბამის აეროპორტებში გაიწევა.

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

ქუთაისის აეროპორტი საერთაშორისო აეროპორტია, რომელიც ფოკუსირებულია იაფი საერთაშორისო ფრენების განვითარებაზე, დაბალბიუჯეტო ავიახაზების მოზიდვისა და კონკურენციის გაზრდაზე, ქართული მაკროეკონომიკური, პოლიტიკური და ბიზნეს-გარემოს პოპულარიზაციაზე, და შედეგად ხელს უწყობს თვითმფრინავის ბილეთების დაბალ ფასებს, რათა გაიზარდოს მგზავრთა ნაკადი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

ბათუმის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტებში რეგულარული ფრენების შენარჩუნებისათვის კომპანია ფინანსურ დახმარებას იღებს საქართველოს მთავრობისგან, რომ დასუბსიდირდეს ამ ფრენების ორგანიზების დანახარჯების ნაწილი.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება, 0109. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტები.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (GEL).

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 4.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ:

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

ოპერაციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსით. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაყვანიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს (20-18 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს). ამჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარიცხებით, საჭიროებისამებრ. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

კონცესიური მომსახურების გარიგებებში გამოყენებული აქტივები და გადავადებული შემოსავალი. კომპანია კონცესიის აქტივის სახით აღიარებს კონცესიური მომსახურების ოპერატორის მიერ შექმნილ აქტივს და/ან არსებული აქტივის გაუმჯობესებას მის მიერ, თუ:

ა) კომპანია აკონტროლებს ან არეგულირებს, რა სახის მომსახურება უნდა გასწიოს ოპერატორმა ამ აქტივის მეშვეობით, ვის უნდა გაუწიოს და რა ფასად; და

ბ) კომპანია აკონტროლებს - საკუთრებისა და ბენეფიციარის უფლებამოსილების მეშვეობით, ან სხვა გზით - მნიშვნელოვან დარჩენილ წილს აქტივში, შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის ბოლოს.

კომპანია მსგავსი კონცესიური აქტივის თავდაპირველ შეფასებას ახორციელებს მისი რეალური ღირებულებით. როდესაც კომპანიის არსებული აქტივი აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებულ პირობებს, კომპანია ამ აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს კონცესიური მომსახურების აქტივად, მაგრამ მის საბალანსო ღირებულებით შეფასებას აგრძელებს. კონცესიური მომსახურების აქტივები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება „ძირითად საშუალებებში“. თავდაპირველი აღიარების ან რეკლასიფიკაციის შემდეგ კონცესიური მომსახურების აქტივები აღირიცხება, როგორც აქტივების ცალკე ჯგუფი, ბასს 16-ის შესაბამისად, თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია კონცესიური მომსახურების აქტივს აღიარებს, ის აღიარებს ასევე ვალდებულებას და მის თავდაპირველ შეფასებას ახორციელებს იმავე თანხით, რომლითაც კონცესიური მომსახურების აქტივია შეფასებული. კომპანია ვალდებულებას არ აღიარებს, როდესაც კომპანიის არსებული აქტივი რეკლასიფიცირდება კონცესიური მომსახურების აქტივად. როდესაც კომპანიას არა აქვს ოპერატორისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადახდის უპირობო მოვალეობა კონცესიური მომსახურების აქტივის მშენებლობის, განვითარების, შეძენის ან გაუმჯობესებისთვის და ოპერატორს აძლევს მესამე მხარის მომხმარებლებისგან შემოსავლის მიღების უფლებას, კომპანია ამ ვალდებულებას აღრიცხავს, როგორც კომპანიასა და ოპერატორს შორის აქტივების გაცვლიდან წარმოშობილი შემოსავლის გამოუმუშავებელ ნაწილს. ეს ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება „გადავადებული შემოსავლის“ სახით.

კომპანია შემოსავალს აღიარებს და ვალდებულებას ამცირებს კონცესიური მომსახურების შეთანხმების ეკონომიკური შინაარსის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ კომპანია კონცესიური მომსახურების შეთანხმების ფარგლებში ოპერატორისთვის შეთანხმების ვადის განმავლობაში გადაცემული უფლების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან დაკავშირებულ სარგებელს გამოიმუშავეს. შემოსავალი აღიარდება და ვალდებულება შემცირდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, რადგან სალიცენზიო მომსახურების აქტივის გამოყენების უფლება ოპერატორს გადაცემული აქვს ამ კონცესიური მომსახურების შეთანხმების ვადის განმავლობაში.

უფლების გადამცემის მიერ შეღავათიანი შეთანხმებების სააღრიცხვო მდგომარეობის IPSAS 32-ის - “შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი” - გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განსჯის გამოყენების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

ცვეთა. მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობასა ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

• შენობები	10 - 50 წელი
• მანქანები და მოწყობილობები	5 - 20 წელი
• ავტომობილები	8 - 10 წელი
• სხვა	5 - 10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან პირდაპირ დაკავშირებული შექმნის დანახარჯები არამატერიალური აქტივების სახით აღირიცხება, თუ მოსალოდნელია ზრდადი ეკონომიკური სარგებლის, რაც დანახარჯებს აღემატება, შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ თანამშრომლების გასამრჯელოების ხარჯს, რომლებიც მის შექმნაზე მუშაობდნენ და ასევე შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო ნაწილს. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგ., მისი საექსპლუატაციო ხარჯი, გაწევისთანავე ხარჯებში აისახება.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადა 5-დან 25 წლამდეა.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესამდე.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი უძრავი ქონება, საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს ასევე მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად გამიზნულ მშენებარე აქტივებს.

საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარჩები, საჭიროებისამებრ. საინვესტიციო ქონების შესაძლო გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობს შემთხვევაში კომპანია ანაზღაურებად ღირებულებას აფასებს გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოგება ზარალზე დარიცხვის მეშვეობით. გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანუღირდება, თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებები შეიცვლება.

შემდგომი დანახარჯი მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა და შესაძლებელია დანახარჯის საიმედოდ შეფასება. შეკეთებისა და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე ხარჯებში აისახება. თუ საინვესტიციო ქონებას მფლობელი დაიკავებს, მაშინ ის ძირითად საშუალებებში რეკლასიფიცირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი მომსახურების ვადა აქვს ან არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც გამოყენებისთვის მზად არ არის, ცვეთა არ ერიცხება და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა და ამორტიზაცია ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენები ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაისინჯება გაუფასურების შესაძლო ანუღირების თვალსაზრისით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

რეალური ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის ტრანსფერს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით“ შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL), „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით (AC). ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად – კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი’), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (‘სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი’) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულება გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და სახელშეკრულებო აქტივები წმინდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და იჯარის მოთხოვნების გაუფასურებისთვის. სხვა ფინანსური აქტივებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება. ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები)) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯით ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასებულის კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. მახასიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნება აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებული აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური გარანტიები. ფინანსური გარანტიები რომლებითაც მოითხოვება კომპანიის მიერ კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელსაც იგი იღებს იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ დროზე ვერ შეძლო გადახდა, სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომლის მტკიცებულება, როგორც წესი, არის მიღებული საფასურის ოდენობა. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის მომსახურების ვადის განმავლობაში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შეფასება ხდება შემდეგს შორის უდიდესით: (i) თავდაპირველად აღიარებული თანხის დარჩენილი არა-ამორტიზებული ნაშთი და (ii) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოცემული ვალდებულების დასაფარად საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასება. ამასთან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, შემცირებული ანარიცხით, აღიარდება როგორც საკომისიოს მოთხოვნა, რომელიც აქტივის სახით აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან. მაშინ, როდესაც კომპანია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის პროცენტისა და ჯარიმების თვალსაზრისით შესაბამისად აღირიცხება ფინანსურ ხარჯებში და სხვა შემოსულობებში/(ზარალში), წმინდად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მთლიან საფუძველზე და განმარტებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. მაშინ, როდესაც მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარცხი გაკეთებულია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მევალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ფასი არის შეფასებული, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას გასაყიდი ფასი, შემცირებული დასრულებისა და გაყიდვის ხარჯებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებების (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრებისა და სხვა) შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. მფლობელის მიერ კომპანიაში არაფულადი შენატანები ფასდება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით. რეალურ ღირებულებასა და მფლობელის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საწესდებო კაპიტალში შენატანს შორის სხვაობა პირდაპირ კომპანიის საკუთარ კაპიტალში, გაუნაწილებელ მოგებაში / დაგროვილ დეფიციტში აისახება.

დივიდენდები. დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები გამჟღავნდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით ფინანსურ დანახარჯებში.

გადასახადები და ხარჯები, როგორიცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების დემონტაჟის და მოცილების შეფასებული დანახარჯები (აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები) ემატება აქტივის დანახარჯებს აქტივის შეძენისას, ან ამ აქტივის იმ პერიოდში გამოყენებისას, როდესაც მისი გამოყენების მიზანი განსხვავდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნისაგან. როდესაც იცვლება აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობის შეფასება, ამ მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო რესურსების გასვლის შეფასებული ვადების და თანხის ცვლილების გამო, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების გამო, დაკავშირებული აქტივის თვითღირებულება შესწორდება, თუ დაკავშირებული აქტივი ფასდება თვითღირებულების მოდელით, ან შესწორდება გადაფასების ნამეტი, თუ აქტივი ფასდება გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანიას აქვს ხელშეკრულებები, როდესაც დაპირებული სერვისების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ვადა ერთ წელზე მეტია. შედეგად, კომპანია გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით აკორექტირებს.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება გადახდას, სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაიწევა, კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხვედრითი წილი მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საავიაციო შემოსავალი მოიცავს სხვადასხვა სააეროპორტო მომსახურებიდან წარმოქმნილ შემოსავალს, მათ შორის შემოსავალს უსაფრთხოების მომსახურებიდან, პარკირებიდან და სხვა მომსახურებებიდან. ამონაგები აღიარდება მგზავრთა რაოდენობის, ასაფრენი ბილიკის გამოყენების (აფრენისა და მოფრენისთვის), პარკირებისა, პლატფორმის და სხვა მომსახურებების შესახებ თანამშრომლებისა და ავიაკომპანიების ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე.

არასაავიაციო შემოსავალი მოიცავს პროექტის საზღაურს, რომელიც თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორებისგან მიიღება. პროექტის საზღაურიდან ამონაგები მოიცავს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორების მიერ დარიცხული მოფრენისა და მიწაზე მომსახურების საზღაურის წილს. მიწაზე მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევისას, ოპერატორებისგან მიღებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე. ოპერატორების მოფრენის საზღაურის განაკვეთები განისაზღვრება მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შეთანხმებით და აღიარდება მომსახურების გაწევისას, ოპერატორებისგან მიღებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე.

არასაავიაციო შემოსავალი ასევე მოიცავს კონტრაგენტებისათვის მგზავთა ტრანსპორტირების, რეკლამის, საწვავის და სხვა მომსახურებების ექსკლუზიური უფლების გადაცემიდან შემოსავალს დარიცხვის მეთოდით, რომელიც ეფუძნება საიჯარო პერიოდს(თვე) და/ან აეროპორტში გამოყენებულ ფართს. გაცემული უფლებებისთვის კომპენსაცია ფიქსირებულია და დაკავშირებულია გაწეული მომსახურების მოცულობასთან.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონცესიური უფლებების გაცემიდან შემოსავალი აღიარდება იმ თარიღიდან, როდესაც ამ უფლების გამოყენება შესაძლებელი გახდა, კონცესიის პერიოდის განმავლობაში, რათა აისახოს ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ოპერატორი მოიხმარს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები რეალური ღირებულებით აღიარდება, როდესაც არსებობს დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია გრანტს მიიღებს და შეასრულებს დაკავშირებულ პირობებს. დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები (სუბსიდიები) მოგება-ზარალში ინეტება შესაბამის დანახარჯთან.

რეალური ღირებულებიდან შემოსულობა საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სახელმწიფო გრანტის თავდაპირველი შეფასებისას, განიხილება, როგორც სახელმწიფო გრანტი. სესხი აღიარდება და შეფასდება ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*-ს შესაბამისად. საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის სარგებელი შეფასდება, როგორც სხვაობა ფასს 9-ს შესაბამისად განსაზღვრული სესხის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ შემოსულობას შორის.

მომუშავეთა გასამრჯელოები. კომპანიის თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება თანამშრომლების მიერ დაკავშირებული მომსახურების გაწევის წელს. კომპანია არ ეწევა რაიმე ხარჯებს თავისი თანამშრომლების საპენსიო ანარიცხებთან ან დაქირავების შემდგომ გასამრჯელოებთან დაკავშირებით.

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს კომპანიის ხელმძღვანელობამ, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე მოამზადა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. 2019 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 2,072 ათასი ლარი შეადგინა (2018: 19 ათასი ლარი). 2019 წელს კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადები და შემოსავალი პროცენტის დარიცხვამდე, დაბეგვრამდე, ცვეთის და ამორტიზაციის გამოქვითვამდე (EBITDA) პოზიტიური იყო, 10,611 ათასი ლარი და 27,322 ათასი ლარი, შესაბამისად. (2018: 14,822 ათასი ლარი და 30,743 ათასი ლარი). კომპანიის ლიკვიდობა და ზოგიერთი მსხვილი კაპიტალური პროექტის განხორციელება დამოკიდებული იქნება სახელმწიფო დახმარებაზე. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მსგავსი დახმარება ხელმისაწვდომი იქნება, რაც კომპანიას საპროგნოზო მომავალში თავისი საქმიანობის შეკვეცის გარეშე შესრულების საშუალებას მისცემს. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს აღრიცხული აქტივის თანხების ანაზღაურებადობისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ შესწორებებს, რაც ალბათ აუცილებელი იქნებოდა, თუ კომპანია ვერ შემლბდა საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კონცესიური მომსახურების შეთანხმებების სააღრიცხვო მიდგომა. ფასს-ში პირდაპირ არ არის მოცემული სახელმძღვანელო მითითებები უფლების გამცემის მიერ კონცესიური მომსახურების აქტივების აღრიცხვის შესახებ. უფლების გამცემის მიერ აღნიშნულის აღრიცხვის შესახებ პირდაპირი სახელმძღვანელო მითითებების არარსებობის გამო კომპანიამ გადაწყვიტა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება „სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IPSASB) მიერ გამოცემული IPSAS 32-ში - კონცესიური მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი - მოცემული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რაც თანმიმდევრულია ოპერატორის მიერ გამოყენებული IFRIC 12-ის - შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები - და არ ეწინააღმდეგება ფასს-ებს. IPSAS 32-ის შესაბამისად კომპანია ინფრასტრუქტურულ აქტივებს თავის ბალანსზე აღიარებს, გადავადებული შემოსავლის ნაშთთან ერთად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების შეფასება. ოპერატორის მიერ კონცესიური მომსახურების აქტივის სახით შექმნილი ძირითადი საშუალების აქტივი და/ან არსებული აქტივის გაუმჯობესება და მფლობელის მიერ მიწისა და შენობების კაპიტალში შენატანი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რასაც დამოუკიდებელი შემფასებელი განსაზღვრავს. საბაზრო მიდგომა იქნა გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივების კოტირებული ფასები პირდაპირ ან ირიბად იყო ხელმისაწვდომი. როდესაც ძირითადი საშუალების ერთეული სპეციალიზებულია და ძალიან იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, სამეურნეო საქმიანობის შემადგენლობაში გაყიდვის გარდა, მაშინ ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება ძირითადად განისაზღვრება ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების მეთოდის გამოყენებით, რადგან საქართველოში არ არსებობს მსგავსი ძირითადი საშუალებების აქტიური ბაზარი და რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის საბაზრო მიდგომის გამოყენებისათვის საჭირო მტკიცებულება ხელმისაწვდომი არ არის. ამ მეთოდით განისაზღვრება ძირითადი საშუალების ხელახლა შექმნის ან ჩანაცვლების დანახარჯები, შესწორებული ფიზიკური, ფუნქციური ან ეკონომიკური ცვეთისა და მოძველების გასათვალისწინებლად. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრასთან ერთად შემოსავლის მიდგომა იქნა გამოყენებული აღნიშნული ღირებულებების დასაბუთებულობის შესაფასებლად. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება შემოსავლის მიდგომით განსაზღვრული ღირებულებებით შესწორდა იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლის მიდგომის საფუძველზე განსაზღვრული ღირებულება ნაკლები იყო ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და ცვეთაზე გავლენას ახდენს საბაზრო ღირებულებებთან, ჩანაცვლების ღირებულებასთან, ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებასთან, სამომავლო წმინდა შემოსავლის შეფასებასთან, კაპიტალის შეწონილ ღირებულებასთან აქტივების მოსალოდნელ ეკონომიკურ გამოყენებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები და დაშვებები. ამ დაშვებების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. კომპანია თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტების და მესტიის და ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტების მფლობელია. ყოველი აეროპორტი განიხილება როგორც ინდივიდუალური ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. ქუთაისის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტები წარმოადგენს წამგებიან აეროპორტებს, ამგვარად, ყოველწლიურად ამ აეროპორტების აქტივები, მიმდინარე მშენებლობის ჩათვლით, იტესტება გაუფასურებაზე და ძირითადი საშუალებების შესაბამისი მუხლების მეორადი ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, აქტივების ღირებულება დაიყვანება სალიკვიდაციო ღირებულებამდე. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა ემყარება ხელმძღვანელობის შეფასებებს, მათ შორის აეროპორტების სამომავლო წარმადობის შეფასებას, აქტივებიდან ამონაგების გამომუშავების შესაძლებლობებს და აქტივების სამომავლო საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულებების დაშვებებს. დადგენილი სალიკვიდაციო ღირებულება რომ ყოფილიყო 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის დაშვებებისგან, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გავლენა გაუფასურებაზე იქნებოდა 1,779 ათასი ლარი (2018: 1,826 ათასი ლარი).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ დადგენილი ზარალის აღსარიცხად, რომელიც გამომდინარეობს ან მომხმარებლის უუნარობისგან, განახორციელოს მოთხოვნილი გადახდა ან მომწოდებლის უუნარობისგან, მიაწოდოს შეთანხმებული საქონელი ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადექვატურობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა მის დაშვებებს აფუძნებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებზე, მოთხოვნების ხანდაზმულობასა და გადახდილი ავანსების ნაშთებზე, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებაზე, მომხმარებლისა და მომწოდებლის კრედიტ უნარიანობაზე და გადახდის პირობების ცვლილებებზე. ცვლილებებმა ეკონომიკაში, ინდუსტრიასა და სპეციფიურ მომწოდებლისა და მომხმარებლის პირობებში შესაძლოა მოითხოვოს ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირებები.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა შესაბამისად 1,757 ათასი ლარი და 1,865 ათასი ლარი.

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. საკუთრების იჯარისთვის აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტზე გადასვლისას, ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოყენებული იყო. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლების შეფასდება იჯარის ვალდებულების თანხით, მისი მიღებისას (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის პირველად მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა (გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ,
- ოპერაციული იჯარის, რომელსაც დარჩენილი საიჯარო ვადა 12 თვეზე ნაკლები აქვს 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოკლევადიან იჯარად აღრიცხვა,
- თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოყენების უფლებით აქტივების შეფასებიდან გამოკლება თავდაპირველი გამოყენების თარიღით, და
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

ვინაიდან ფასს 16-მა არსებითად წინა პლანზე წამოწია მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები ბასს 17-ში, კომპანიამ არ აღიარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე კომპანიის, როგორც მეიჯარის საქმიანობასთან დაკავშირებით.

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 28 “გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში” (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელოს, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“-(გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი სადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი. კომპანია არ მოელის, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

არსებითობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებითობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებითობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ბასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი“. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადებია დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ბასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროცენტო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ბასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ბასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამოწვევის რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შედავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამიზნული იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ბასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას. შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებითი, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართავს ის გადასვლის პროცესს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, არ როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამონაკლისი იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობითი ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმო, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა

ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშუალებით უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შედევითით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შედევითით დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შედევითით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

Covid-19-თან დაკავშირებული იჯარის კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შედავითით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესია წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულდეს 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8-სთან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადაანგარიშება ან ბასს 8-ს 28(f) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისათვის შემდეგია:

	აქტივები, რომელთა ოპერირებას კომპანია ახორციელებს						აქტივები, რომელთა ოპერირებას კონცესიის ოპერატორი ახორციელებს					
	მიწა	შენობები	მანქანები და მოწყობილობები	ავტომანქანები	დაუმთავრებელი მშენებლობა და სხვა*	სულ ამოყენებული აქტივები	მიწა	შენობები	მანქანები და მოწყობილობები	ავტომანქანები	საკონცესიო აქტივები	სულ
<i>ათასი ლარი</i>												
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	54,841	9,361	8,230	6,839	28,069	107,340	114,857	212,808	1,211	220	329,096	436,436
დამატებები	4	40	1,143	1,666	22,126	24,979	-	-	-	-	-	24,979
გადაცემები	-	308	-	-	(308)	-	-	-	-	-	-	-
გასვლები	(187)	(14)	(8)	(22)	-	(231)	-	-	-	-	-	(231)
2018 წლის 31 დეკემბერს	54,658	9,695	9,365	8,483	49,887	132,088	114,857	212,808	1,211	220	329,096	461,184
დამატებები	-	28	230	382	19,077	19,717	-	-	-	-	-	19,717
გასვლები	(170)	(32)	-	(24)	-	(226)	(195)	-	-	-	(195)	(421)
2019 წლის 31 დეკემბერს	54,488	9,691	9,595	8,841	68,964	151,579	114,662	212,808	1,211	220	328,901	480,480
ცვეთა და გაუფასურება												
2018 წლის 1 იანვარს	-	(1,800)	(4,786)	(2,423)	(27,705)	(36,714)	-	(21,571)	(399)	(132)	(22,102)	(58,816)
ცვეთის ხარჯი	-	(424)	(866)	(1,178)	-	(2,468)	-	(9,758)	(150)	(44)	(9,952)	(12,420)
გასვლა	-	3	1	18	-	22	-	-	-	-	-	22
გაუფასურების ხარჯი	-	-	(887)	-	(17,370)	(18,257)	-	-	-	-	-	(18,257)
2018 წლის 31 დეკემბერს	-	(2,221)	(6,538)	(3,583)	(45,075)	(57,417)	-	(31,329)	(549)	(176)	(32,054)	(89,471)
ცვეთის ხარჯი	-	(416)	(818)	(847)	-	(2,081)	-	(8,986)	(149)	(10)	(9,145)	(11,226)
გასვლა	-	18	-	10	-	28	-	-	-	-	-	28
გაუფასურების ხარჯი	-	(21)	(149)	-	(12,759)	(12,929)	-	-	-	-	-	(12,929)
2019 წლის 31 დეკემბერს	-	(2,640)	(7,505)	(4,420)	(57,834)	(72,399)	-	(40,315)	(698)	(186)	(41,199)	(113,598)
საბალანსო ღირებულება												
2018 წლის 31 დეკემბერს	54,658	7,474	2,827	4,900	4,812	74,671	114,857	181,479	662	44	297,042	371,713
2019 წლის 31 დეკემბერს	54,488	7,051	2,090	4,421	11,130	79,180	114,662	172,493	513	34	287,702	366,882

დაუმთავრებელი მშენებლობა და სხვა* - დასამონტაჟებელი მოწყობილობები და დაუმთავრებელი მშენებლობა

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები არასაავიაციო მომსახურებებიდან შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით	5,370 (117)	3,089 (67)
გრძელვადიანი მოთხოვნები, ნეტო	5,253	3,022
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსების გაუფასურება	6,175 (4,861)	767 -
სულ სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები, ნეტო	6,567	3,789

გრძელვადიანი მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს არა-ვადაგადაცილებულ ნაშთებს და გადანაწილება მეორე დონეზე. 2019 წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვამ 50 ათასი ლარი შეადგინა.

გაუფასურების დარიცხვა დაკავშირებულია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის ხარჯებთან.

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსების ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	767	6,908
დამატებები	6,175	274
გადახდილი ავანსები, რომლებსაც აღიარება შეუწყდათ დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას, ან გადაცემულია დაუმთავრებელ მშენებლობაში. გადახდილი ავანსების გაუფასურება	(767) (4,861)	(6,415) -
სულ ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები 31 დეკემბერს, ნეტო	1,314	767

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	9,538	7,060
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით/სავაჭრო მოთხოვნებისთვის გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(1,640)	(1,798)
<i>სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში</i>	<i>7,898</i>	<i>5,262</i>
სხვა მოთხოვნები	3	20
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,901	5,282

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვარს	1,798	467
მოსალოდნელი ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის	36	1,366
გაუფასურების ანარიცხის ანაზღაურება წლის განმავლობაში	(194)	(35)
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს	1,640	1,798

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

2019 წლის 31 დეკემბერი	არა- ვადაგადაცი ლებული	1-30 დღე	31-90 დღე	91-180 დღე	181- 360	360< დღეზე მეტი	სულ
ათასი ლარი							
სულ, ნაგულისხმევი დადგენილი მთლიანი საბალანსო ღირებულება	11,408	423	495	919	327	1,336	14,908
სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(132)	(3)	(1)	(28)	(265)	(1,328)	(1,757)
2018 წლის 31 დეკემბერი							
ათასი ლარი							
სულ, ნაგულისხმევი დადგენილი მთლიანი საბალანსო ღირებულება	7,445	212	822	745	291	634	10,149
სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(441)	(16)	(329)	(501)	(177)	(401)	(1,865)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის საკრედიტო რისკის რეიტინგის დონის განმარტებებს:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი		სულ
	მე-2 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-3 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის – კრედიტ- გაუფასურებული	
არა-ვადაგადაცილებული	132	-	132
0-30 დღემდე ვადაგადაცილება	3	-	3
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	1	-	1
90-180 დღემდე ვადაგადაცილება	28	-	28
180-360 დღემდე ვადაგადაცილება	9	256	265
360> დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	1,328	1,328
სულ	173	1,584	1,757

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი		სულ
	მე-2 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადა- არა კრედიტ- გაუფასურებული	მე-3 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის – კრედიტ- გაუფასურებული	
არა-ვადაგადაცილებული	98	343	441
0-30 დღემდე ვადაგადაცილება	7	9	16
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	45	284	329
90-180 დღემდე ვადაგადაცილება	203	298	501
180-360 დღემდე ვადაგადაცილება	39	138	177
360> დღეზე მეტი ვადაგადაცილება	320	81	401
სულ	712	1,153	1,865

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	1	1
მიმდინარე საბანკო ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები	59,595	54,606
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	54,607

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ზარალის ანარიცხი არ არის აღიარებული საბანკო ნაშთებისთვის მათი მოკლევადიანი ბუნების გამო. საბანკო ნაშთები მოიცავს ანგარიშებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს საქართველოს ბანკებში და გამოყენებულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნებისთვის.

11. გადავადებული შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია და ვალდებულება შემცირებული წრფივი მეთოდის საფუძველზე, რადგან წვდომა მომსახურების კონცესიის აქტივზე ოპერატორისთვის უზრუნველყოფილია მომსახურების კონცესიის შეთანხმების ვადის განმავლობაში.

ათასი ლარი	2019	2018
გადავადებული შემოსავალი 1 იანვარს	139,305	156,582
გადავადებული შემოსავლის გაზრდა	-	-
გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია	(17,277)	(17,277)
გადავადებული შემოსავალი 31 დეკემბერს	122,028	139,305

12. ვალდებულებები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიამ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემდეგი ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მომხმარებლებისგან მიღებული გადახდილი ავანსები	1,685	2,213
სულ მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,685	2,213

2,035 ათასი ლარი ოდენობის ამონაგები, რომელიც დაკავშირებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან აღიარდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (2018: 2,029 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა მოელის, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე გადანაწილებული გარიგების ფასის 91% (1,529 ათასი ლარი) აღიარებული იქნება შემდგომ საანგარიშო პერიოდში. დარჩენილი 9% (156 ათასი ლარი) აღიარდება 2021 წელს.

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	8,287	4,477
შემცნობილი ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	1,685	144
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,972	4,621
მიღებული ავანსები და მომხმარებლების დეპოზიტები	502	217
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,474	4,838

14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები - MDF (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი)	12,212	-
გადავადებული შემოსავალი - MDF	1,788	-
სულ სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14,000	-

2019 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის #2477 განკარგულების საფუძველზე („განკარგულება“), კომპანიამ მიიღო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) დაფინანსების 40 მილიონი ლარიდან 14 მილიონი ლარი ქუთაისის სამგზავრო ტერმინალის გაფართოების პროექტის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისთვის. ეს დაფინანსება უპროცენტოა, რომელიც უნდა დაიფაროს არაუგვიანეს 2021 წლის თებერვლისა. საქართველოს მთავრობამ ვალდებულება აიღო კომპანიის საწესდებო კაპიტალში 40 მილიონი ლარის შეტანაზე, რათა კომპანიამ შემდგომ MDF-ისგან მიღებული თანხების დაბრუნება. 1,788 ათასი ლარის რეალური ღირებულების შემოსულობა ამ დაფინანსებაზე ჩაითვალია აქტივთან დაკავშირებულ სახელმწიფო გრანტად და აღიარდა როგორც გადავადებული შემოსავალი.

6,892 ათასი ლარის ოდენობის შემდგომი დაფინანსება MDF-ისგან მიღებულია 2020 წლის ივნისში (შენიშვნა 23).

15. ამონაგები

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
საავიაციო ამონაგები		
თბილისი	25,045	27,419
ქუთაისი	5,762	3,636
ბათუმი	3,809	3,164
მესტია	68	53
ამბროლაური	19	16
სულ საავიაციო ამონაგები	34,703	34,288
არასაავიაციო ამონაგები		
თბილისი	11,959	9,094
ქუთაისი	440	259
ბათუმი	1,635	1,521
სულ არა-საავიაციო ამონაგები	14,034	10,874
სულ ამონაგები გაცემული საკონცესიო უფლებებიდან (შენიშვნა 11)	17,277	17,277
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	66,014	62,440
იჯარიდან შემოსავალი		
თბილისი	296	370
ქუთაისი	1,684	1,346
ამბროლაური	3	4
სულ იჯარიდან შემოსავალი	1,983	1,720
სულ ამონაგები	67,997	64,159

სულ, იჯარის შემოსავალი მოიცავს ცვლადი ნაწილის 1,368 ათას ლარს.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
დროის გარკვეულ მომენტში	34,752	34,308
დროის განმავლობაში	31,262	28,132
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	66,014	62,440

16. სხვა შემოსავალი

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის სხვა შემოსავალი შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
შემოსავალი ჯარიმებიდან	113	574
შემოსავალი მარაგების გაყიდვიდან	108	226
საკომისიო შემოსავალი	226	137
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	197	355
სულ სხვა შემოსავალი	644	1,292

17. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები

მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები მოიცავს ავიაკომპანიებისთვის გადახდილ წამახალისებელ თანხებს, რომლებიც კომპანიის მიერ გათვალისწინებულია სხვადასხვა არა ექსკლუზიურ წამახალისებელ პაკეტებში, ორიენტირებულია მიმართულებების, სიხშირის ან/და მგზავრთა ნაკადის ზრდაზე ქუთაისისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტებში. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების აქტივობებისთვის კომპანია იხდის თანხას ყოველთვიურად, ავიაკომპანიის წარმადობის საფუძველზე (მაგ. ახალი მიმართულებები, მგზავრები დროის პერიოდში, სიხშირე დროის პერიოდში, და ა.შ.), რომელიც არსებითად არის დაკავშირებული წამახალისებელი პაკეტის მოთხოვნებთან.

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის საოპერაციო ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	4,192	4,226
რემონტი და მოვლა-შენახვა	726	362
კომუნალური ხარჯები	489	476
მივლინებები	489	377
დაზღვევა	413	370
დასუფთავების მომსახურება	409	184
საწვავ-საცხები მასალები	360	519
საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	316	155
საკონსულტაციო ხარჯები*	265	334
მარკეტინგის ხარჯები	245	997
საკომუნიკაციო ხარჯები	104	81
ძირითადი საშუალებების მუხლების გასვლის ზარალი	86	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	31	524
სხვა ხარჯები	1,159	1,230
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	9,284	9,835

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 115 ათასი ლარის ოდენობის საფასურს, რომელიც დარიცხულია აუდიტისა და სხვა პროფესიონალური მომსახურებისთვის, რომელიც გაწეულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

19. ფინანსური რისკის მართვა

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც ფინანსურ აქტივებს წარმოქმნის.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		
- სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	5,253	3,022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
- სავაჭრო მოთხოვნები	7,898	5,262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	54,607
სულ საბალანსო რისკი	72,747	62,891
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	72,747	62,891

კომპანია საკრედიტო რისკის დონეებს ადგენს კონტრაქტებთან ან კონტრაქტთა ჯგუფებთან მიმართებით რისკის ზღვრების განსაზღვრით. საკრედიტო რისკის ზღვრებს პერიოდულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. მსგავსი რისკების მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება და წლიურად ან უფრო ხშირად გადაისინჯება. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს. შესაბამისად ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ შესაფერისია რომ წარმოადგინოს საკრედიტო რისკის შესახებ ხანდაზმულობისა და სხვა ინფორმაციის ასახვა. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

საბაზრო რისკი. კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს მისაღები რისკის ზღვრებს, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები ექვევა უცხოურის ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებებისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის ქვეშ. კომპანია ახორციელებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს ცვლადებს სავალუტო რისკის სამართავად.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი			2018 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	50,648	(15,245)	35,403	47,002	(1,944)	45,058
აშშ დოლარი	11,555	(85)	11,470	6,744	(289)	6,455
ევრო	10,544	(7,503)	3,041	9,145	(2,803)	6,342
სულ	72,747	(22,833)	49,914	62,891	(5,036)	57,855

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა გაცვლითი კურსებისადმი სამუშაო ვალუტის 20%-ით გამყარება/გაუფასურებასთან მიმართებაში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა მონეტარულ მუხლებს საანგარიშო თარიღისთვის, დენომინირებულს შესაბამის ვალუტებში:

ათასი ლარი	2019	2018
აშშ დოლარის გამყარება 10% -ით	12,617	7,101
აშშ დოლარის გაუფასურება 10% -ით	(12,617)	(7,101)
ევროს გამყარება 10% -ით	3,345	6,976
ევროს გაუფასურება 10% -ით	(3,345)	(6,976)

რისკი გამოთვლილ იქნა კომპანიის სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში გამოსახული მონეტარული აქტივებისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას აქვს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებული დონეების მერყეობის გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები, საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ხელახლა დადგენისა და დაფარვის თარიღებს შორის ადრინდელი ვადით.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	65,727	1,153	614	5,253		72,747
სულ ფინანსური ვალდებულებები	(10,154)	(8)	(311)	(12,360)	-	(22,833)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო მგრძნობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	55,573	1,145	303	(7,107)	-	49,914
2018 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	59,641	389	-	2,861		62,891
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო მგრძნობელობა 2018 წლის 31 დეკემბერს	54,906	324	(38)	2,663	-	57,855

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა დავალიანებებს, შენარჩუნებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულებების ჩათვლით (სამომავლო ფინანსური დანახარჯების გამოქვითვამდე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება ოფიციალური გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა დავალიანება						
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(10,154)	(8)	(311)	(148)	-	(10,621)
MDF-ისგან მიღებული დაფინანსება				(14,000)		(14,000)
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	(10,154)	(8)	(311)	(14,148)	-	(24,621)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა დავალიანება						
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირი თანხისა და პროცენტის გადახდები	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)

20. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

20. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამჟღავნებულია. რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

	2019 წ. 31 დეკემბერი			საბალანსო
ათასი ლარი	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	-	-	59,596
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	7,898	-	7,898
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	5,253	-	5,253
სულ აქტივები	59,596	13,151	-	72,747
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებები	-	9,972	-	9,972
- სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	147	-	147
- ფინანსური ვალდებულებები - MDF	-	12,212	-	12,212
სულ ვალდებულებები	-	22,331	-	22,331

	2018 წ. 31 დეკემბერი			საბალანსო
ათასი ლარი	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	ღირებულება
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,607	-	-	54,607
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	5,262	-	5,262
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	3,022	-	3,022
სულ აქტივები	54,607	8,284	-	62,891
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებები	-	4,621	-	4,621
- სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	198	-	198
სულ ვალდებულებები	-	4,819	-	4,819

20. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. შეფასდა, რომ ცვალებადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების, რომლებიც აქტიურ ბაზარზე კოტირებული არ არის, რეალური ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. არაკოტირებული ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევიან, თუ ეს მხარეები საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის კონტროლი ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ისინი ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ სხვა მხარის ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთკავშირის შინაარსზე და არა მხოლოდ ფორმაზე.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	335	364
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(958)	(946)
დაფინანსება MDF-სგან (შენიშვნა 14)	(12,212)	-

სავაჭრო დავალიანებები უპროცენტოა.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები:

ათასი ლარი	2019	2018
არასავაჭრო და სავაჭრო მომსახურებებთან დაკავშირებული შემოსავალი	404	354
სახელმწიფო სუბსიდიები ადგილობრივი ფრენებისთვის	5,791	5,033
უსაფრთხოების ხარჯები	(9,588)	(9,588)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(284)	(244)

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით სხვა უფლებები და ვალდებულებები არ არსებობს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარი ხელმძღვანელი პირია კომპანიის დირექტორი. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მთავარი ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების შესახებ:

ათასი ლარი	2019	2018
მოკლევადიანი გასამრჯელოები:		
- ხელფასები	99	101
- მოკლევადიანი ბონუსები	8	8
სულ მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	107	109

მოკლევადიანი ბონუსები გადაიხდება თორმეტ თვეში, იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც ხელმძღვანელობამ გასწია დაკავშირებული მომსახურება.

მთავარი ხელმძღვანელი პირების წინაშე რაიმე ვალდებულება ან პირობითი ვალდებულება არ არსებობს.

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნდა არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ ექნება ადგილი არსებით დაურიცხავ ზარალს და შესაბამისად, ანარიცხი გაკეთებული არ არის წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

საოპერაციო გარემო. ისეთი განვითარებადი ბაზარი, როგორიც საქართველოს აქვს, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს მეტად, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებსაც საქართველოში ბიზნესებზე აქვს გავლენა, აგრძელებს სწრაფად განვითარებას, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდი გავლენა აქვს მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს განვითარებასთან ერთად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რაც მეტწილად უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ 2018 და 2019 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გახსნა, უფრო მეტი შეიძლება იყოს მოსალოდნელი, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს სამოქმედო გეგმა განაგრძობს განვითარებას.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. P პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი იურიდიული ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები წარმოიქმნება ფრენების და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ყველა სამგზავრო ფრენა შეჩერებულია, კომპანიის ამონაგების გენერირება უმეტესადწილად შეჩერებულია, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები ფრენებზე. კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. კომპანია მოელის მგზავრების 30% ფრენების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და მგზავრების 50% შემდგომი სამი თვის განმავლობაში. თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის ივნისში კომპანიამ MDF-სგან დამატებით 6,892 ათასი ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო (შენიშვნა 14).

საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში დაკორექტირებას ან განმარტებას მოითხოვდა.

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“

მმართველობის ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

I. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (შემდეგში - „UAG“ / „კომპანია“) წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც სახელმწიფოს მიერ დელეგირების საფუძველზე ახორციელებს საქართველოში არსებული, ადგილობრივი და საერთაშორისო, სამოქალაქო აეროპორტების მართვას. „საქართველოსაეროპორტების გაერთიანება“ სახელმწიფოს მიერ დაფუძნდა 2010 წლის 1 ნოემბერს. მისი შექმნის მისია იყო საქართველოში სხვადასხვა სახით და ფორმით არსებული სამოქალაქო აეროპორტების გაერთიანება ერთიანი „ქოლგის“ ქვეშ, მათი ჰარმონიულად და სისტემურად განვითარების უზრუნველსაყოფად.

კომპანია აერთიანებს 3 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ სამოქალაქო აეროპორტს, კერძოდ:

- შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი;
- ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
- თამარ მეფის სახელობის მესტიის ადგილობრივი აეროპორტი;
- ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტი;

ასევე, UAG-ს საკუთრებაშია ზუგდიდისა და ფოთის ყოფილი აეროპორტების მიწის ნაკვეთები და ინფრასტრუქტურა, თუმცა ეს აეროპორტები ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

2011 წლის 19 აპრილს, UAG შეერწყა თბილისის საერთაშორის აეროპორტის მფლობელ კომპანიას - სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“, რომელიც ასევე 100% სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია იყო და UAG გახდა ამ კომპანიის სამართალმემკვიდრე.

რაც შეეხება სხვა აეროპორტებს, იმავე პერიოდიდან დაიწყო და ეტაპობრივად ხდებოდა სხვადასხვა აეროპორტების აქტივების შემოტანა UAG-ის კაპიტალში სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული ხორციელდებოდა მხოლოდ ქონების შემოტანის სახით და UAG-ის არ ჰქონია რაიმე უფლებამონაცვლებითი სახის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა აეროპორტების მფლობელ სახელმწიფო კომპანიებთან, რომლებიც მანამდე არსებობდნენ.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებზე ზედამხედველობა;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფა, უშუალოდ ან კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში ავიაკომპანიებისათვის სააეროპორტო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა, უშუალოდ ან კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით;

- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზებისა და განვითარების უზრუნველყოფა;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში არსებული ადამიანური ან ტექნიკური რესურსების მართვა და ოპტიმიზაცია;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შექმნა სააეროპორტო მომსახურებისა და მოსაკრებლების შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების ქონების მართვა, პარტნიორთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით;
- სამოქალაქო აეროპორტებში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების (ICAO, IATA და ა.შ.) დანერგვა და შენარჩუნება;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების განვითარების სამოქმედო გეგმების შემუშავება.

კომპანიის მმართველობითი ორგანოები

კომპანიის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენს:

- პარტნიორი;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორი.

პარტნიორი

კომპანიაში პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ამტკიცებს UAG-ის წლიურ ბიზნეს-გეგმას, განიხილავს ბიზნეს-გეგმის შესრულების ანგარიშებს, ამტკიცებს გადაწყვეტილებებს UAG-ის კუთვნილებაში არსებული მსხვილი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით და ახორციელებს კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. საბჭო შედგება 7 (შვიდი) წევრისგან, კერძოდ:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს UAG-ის წლიურ ბიზნეს-გეგმას, განიხილავს ბიზნეს-გეგმის შესრულების ანგარიშებს, ამტკიცებს გადაწყვეტილებებს UAG-ის კუთვნილებაში არსებული მსხვილი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით, განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის საქმიანობაში წამოჭრილ არასტანდარტულ ან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს და ახორციელებს კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

დირექტორი

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის დანიშვნასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო პარტნიორთან შეთანხმებით. დირექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით განსაზღვრულ სტანდარტულ საქმიანობას.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანია აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ აეროპორტებს და სათაო ოფისს, რომელიც ახორციელებს მთლიანი კომპანიისათვის და ყველა აეროპორტისათვის საჭირო საქმიანობას.

2019 წლის ბოლოსთვის UAG -ში სულ დასაქმებული იყო 407 თანამშრომელი, კერძოდ:

- შპს “საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (ცენტრალური ოფისი) – 100 თანამშრომელი;
- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი -263 თანამშრომელი;
- მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი -18 თანამშრომელი;
- ამბროლაურის აეროპორტი - 18 თანამშრომელი;
- ბათუმის აეროპორტი - 8 თანამშრომელი..

აგრეთვე, ამ პერიოდის განმავლობაში ქუთაისში 29 სტაჟიორი დასაქმდა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია პერმანენტულად ახორციელებს ღონისძიებებს კომპანიის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია რამდენიმე ღონისძიება, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა და შესაბამისად გაგრძელდება სამომავლო გეგმების კუთხითაც. ეს ღონისძიებები შემდეგია:

- საბუღალტრო საქმიანობას და ფინანსურ აღრიცხვას კომპანია ახორციელებდა ძირითადად მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. 2016 წლიდან კომპანიამ დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კომპანიაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) დანერგვას და ფინანსური აღრიცხვის წარმოებას და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ამ სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის ინიცირების და დაწყების დროისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS-ის მიხედვით ჯერ კიდევ არ იყო სავალდებულო და ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა კომპანიის ნებას, ახალ დონეზე აეყვანა მმართველობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი - ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება კომპანიაში. პროექტი დასრულდა 2018 წელს.

- საქართველოს გაერთიანებულ აეროპორტებში დაინერგა საბუღალტრო-მმართველობითი პროგრამული უზრუნველყოფა „SAP Business One“. პროექტის ძირითადი ნაწილი განხორციელდა 2017 – 2018 წლებში. ამ დროისათვის დაწერგლია საბუღალტრო მოდული და მასთან დაკავშირებული საადრიცხო ხასიათის მოდულები. სამომავლოდ, ეტაპობრივად იგეგმება მმართველობითი მოდულების დაწერგვაც, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს პროცესების უფრო მეტად ავტომატიზაციას და მეტნაკლებად სრულ ERP სისტემაზე გადასვლას.
- საქართველოს აეროპორტების გაერთიანება კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემის სუბიექტს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დაწერგვა. მითითებული სისტემის დაწერგვა ხელს შეუწყობს კომპანიაში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების სისტემატიზაციას და არსებული ინფორმაციული აქტივების დაცვას და მათი უსაფრთხოების ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს რომ 2020 წლის საანგარიშო წლიდან კომპანიის სტატუსი შეიცვალა და გახდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ), რაც ნიშნავს დამატებით საანგარიშგებო მოთხოვნებს კომპანიისთვის. UAG ამჟამად ახორციელებს მათ ანალიზს სამომავლოდ დასაწერგად.

გარდა ამისა, კომპანია პერმანენტულად გეგმავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, მათი პროფესიული ტრენინგების ორგანიზების და სათანადო კონფერენციებსა თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით.

ინფრასტრუქტურული კუთხით, კომპანიის ახალი ცენტრალური ოფისის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, რომელიც მოწყობილი და აღჭურვილი იქნება თანამედროვე სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და უზრუნველყოფს სათანადო სამუშაო გარემოს შექმნას თანამშრომლებისათვის.

ამასთანავე, განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული გეგმები უმეტესწილად შეეხება ამა თუ იმ კონკრეტულ აეროპორტს, ამიტომ შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, თითოეული აეროპორტისათვის, შესაბამისი აეროპორტის ქვეთავში.

ფინანსური შედეგების ანალიზი

2019 წლისთვის კომპანიის მთლიანი ამონაგები 6% -ით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით, 64 159 ათასი ლარიდან 67 997 ათას ლარამდე.

უფრო ვრცლად, შემოსავლების ზრდა პროცენტულად მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები	2019	2018	% სხვაობა
საავიაციო შემოსავალი	34,703	34,289	1%
თბილისი	25,045	27,420	-9%
ქუთაისი	5,762	3,636	58%
ბათუმი	3,809	3,164	20%
მესტია	68	53	28%
ამბროლაური	19	16	19%
არა-საავიაციო შემოსავალი	16,017	12,593	27%
თბილისი	12,255	9,464	29%
ქუთაისი	2,124	1,605	32%
ბათუმი	1,635	1,521	7%
მესტია	-	-	0%
ამბროლაური	3	3	0%
ამონაგები გაცემული უფლებებიდან	17,277	17,277	0%
თბილისი	17,277	17,277	0%
სულ ამონაგები	67,997	64,159	6%

სულ კომპანიის სრული შემოსავალი 2019 წელს 2 072 ათასი ლარი იყო (2018: მოგება 19 ათასი ლარი). საოპერაციო საქმიანობის შედეგები, არაფულადი ამონაგების და ხარჯების გამოკლებით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2019	2018
სულ წლის სრული მოგება/ზარალი	2,072	19
კორექტირებები:	7,961	11,059
ცვეთა და ამორტიზაცია	11,270	12,467
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	17,790	18,257
გადავადებული ამონაგების ამორტიზაცია	(17,277)	(17,277)
შემოსულობა/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	86	(10)
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(108)	1365
ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ზარალი (ნეტო)	(867)	(9)
ფინანსური შემოსავალი	(2,933)	(3,734)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	10,033	11,078

სხვა ინფორმაცია საქმიანობის განვითარების შედეგებისა და მდგომარეობის შესახებ

- დეტალური ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც გამოქვეყნებულია წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებასთან ერთად.
- ფინანსურ ანგარიშგებასთან და ფინანსურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მოყვანა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებაში საჭირო არ არის, ვინაიდან ყველა ასეთი განმარტება თუ ინფორმაცია მოცემულია თავად ფინანსურ ანგარიშგებაში.
- არსებითი ხასიათის კვლევები განვითარების სფეროში 2019 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.
- კომპანიაში არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა.
- განვითარების გეგმები და არა-ფინანსური მაჩვენებლები განხილულია ქვემოთ, თითოეული აეროპორტის მიხედვით.

II. ინფორმაცია აეროპორტების შესახებ

როგორც ეს უკვე აღინიშნა, UAG-ის ფარგლებში 5 სამოქალაქო აეროპორტი ფუნქციონირებს. მათგან სამის - ქუთაისის, ამბროლაურის და მესტიის აეროპორტების მართვას და ოპერირებას სრულად ახორციელებს თავად UAG.

რაც შეეხება თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს, ისინი სამართავად გადაცემული აქვს კერძო კომპანიებს - შპს „ტავ ურბან საქართველოს“ და შპს „ტავ ბათუმ ოფერეიშენს“. თუმცა ამ აეროპორტების ქონება საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების საკუთრებაა და ასევე საავიაციო უშიშროებას ამ აეროპორტებშიც საქართველოს აეროპორტების გაერთიანება უზრუნველყოფს. საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ახორციელებს ასევე მმართველი კომპანიების მიერ აეროპორტების მართვის მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში, უშუალოდ საავიაციო უშიშროების ღონისძიებათა განსახორციელებლად UAG-ს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რომელიც გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ უშუალოდ ახორციელებს საავიაციო უშიშროების ღონისძიებებს.

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ქვეყნის ყველაზე დიდი აეროპორტია. დღეისათვის იგი ყოველდღიურად ათეულობით ავიარების იღებს და უშვებს და მსოფლიოს არაერთ ცნობილ ავიაკომპანიას ემსახურება.

თბილისის აეროპორტის ისტორია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება. ამ დროის განმავლობაში იგი პერიოდულად იცვლიდა სახეს და მასშტაბს. 90-იანი წლების ბოლოს, უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა ძველი ინფრასტრუქტურის განახლების და მისი თანამედროვე აეროპორტად ჩამოყალიბების საჭიროება, რაც მსხვილ ინვესტიციებს და სპეციალურ გამოცდილებას საჭიროებდა. ამ მიზნით, აეროპორტი 2005 წელს დროებით სამართავად გადაეცა აეროპორტების ოპერირების სფეროში ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას - „ტავ ჰოლდინგს“, უფრო კონკრეტულად - ამ მიზნით შექმნილ შპს „ტავ ურბან საქართველოს“.

ხელშეკრულების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველ კომპანიას ეკისრება გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რის სანაცვლოდაც იღებს უფლებას მართოს აეროპორტი გარკვეული დროით და მიიღოს შემოსავალი, რის შემდეგაც აეროპორტი უნდა დაუბრუნოს მესაკუთრეს განახლებული სახით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინვესტორი მის მიერ აეროპორტის მართვის პერიოდშიც უხდის თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს UAG-ს მართვაში გადაცემის პერიოდის განმავლობაში. ინვესტორი სრულად ექვემდებარება საქართველოს საავიაციო კანონმდებლობას და სტანდარტებს და ვალდებულია, აეროპორტის ოპერირება მათი და საერთაშორისო ნორმების დაცვით განხორციელოს. ასევე, მართვაში გადაცემის ხელშეკრულებით განსაზღვრულია მთელი რიგი მოთხოვნები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ აეროპორტის მართვა ინვესტორის მიერ განხორციელდეს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით და ამავე დროს მაქსიმალურად ეფექტიანად.

აღნიშნულ ხელშეკრულებაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები მისი სრულყოფის და არსებულ გარემოებებთან მისადაგების მიზნით. ამათგან ყველაზე მასშტაბურ ცვლილებებად შეიძლება მიჩნეული იქნას 2013-2015 წლებში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებული ცვლილებები, რომელთა შედეგად განახლებული რედაქციის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის მაისში. ცვლილებები ითვალისწინებდა მთელი რიგი დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ინვესტიციების განხორციელებას ოპერატორი კომპანიის მიერ, ასევე ეფექტიანი მართვისა და მონიტორინგის ახალი მექანიზმების ჩადებას ხელშეკრულებაში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აეროპორტის მართვაში გადაცემის ვადა ამ ცვლილებების დროს არ შეცვლილა და მანამდელ რედაქციაში არსებული ვადა 2027 წლამდე გადაცემის შესახებ უცვლელი დარჩა.

თბილისის აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

რაც შეეხება აეროპორტის განვითარების სამომავლო გეგმებს, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ღონისძიებები დეტალურად იყო გაწერილი შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-სა და შპს „ტავ ურბან საქართველოს“ შორის გაფორმებულ, მართვაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბოლო რედაქციაში. აღნიშნული გეგმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა - აშენდა ჩამოფრენის ახალი ტერმინალი, განხორციელდა ასაფრენი ზოლის მნიშვნელოვნად განახლება, გარემონტდა და გაფართოვდა საჰაერო ხომალდების სადგომები, მოეწყო ახალი საავტომობილო პარკინგი და სხვ.

სამომავლო მიზნებისათვის, UAG მუდმივად აწარმოებს კონსულტაციებს არსებულ ინვესტორთან და სხვა დაინტერესებულ პირებთანაც აეროპორტის შემდგომი განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

გარდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა, აეროპორტის განვითარება ავიაკომპანიების, მიმართულებების და მგზავრების ნაკადის ზრდასაც გულისხმობს. ამ მიმართულებით ორივე მხარის წარმომადგენლები მუშაობენ - როგორც ინვესტორი, აეროპორტის მმართველი კომპანია, ისე საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

ბათუმის აეროპორტი, უფრო სწორად კომპანია შპს „ბათუმის აეროპორტის“ (რომელიც ასევე ძველი სახელმწიფო კომპანიაა) წილის 100% სამართავად აქვს გადაცემული შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“. აღნიშნული გადაცემა მოხდა თბილისის აეროპორტის გადაცემიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მხარეთა შორის შედგა მოლაპარაკება, რომ ინვესტორი მზად იყო ბათუმის აეროპორტშიც განეხორციელებინა ინვესტიცია, თუ მას თბილისის აეროპორტის მართვის პერიოდი რამდენიმე წლით გაუგრძელდებოდა.

აეროპორტის მიწის ნაკვეთი და სხვა ძირითადი ქონება საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაა და იჯარით არის გადაცემული ბათუმის აეროპორტის კომპანიისათვის.

ბათუმის აეროპორტში ავიარეისების და მგზავრების ნაკადის დატვირთულობა ძირითადად სეზონურია, თუმცა ბოლო წლებში მგზავრების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რის გამოც დადგა ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საკითხი. აეროპორტის მომავალ ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე პერმანენტულად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან. ხოლო, რაც შეეხება აეროპორტის განვითარებას ახალი ავიაკომპანიების მოზიდვისა და ახალი მიმართულებების დამატების კუთხით, ამ მხრივ მუშაობენ როგორც ოპერატორი კომპანია, ისე საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

ბათუმის აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 2011 – 2013 წლებში აშენდა, ყოფილი საბჭოთა აეროპორტის ადგილას. აეროპორტის ტერმინალი და სანავიგაციო კოშკურა სრულად ახლიდან აშენდა, ხოლო ასაფრენ ზოლს და სხვა სააეროდრომო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

ქუთაისის აეროპორტი ძირითადად ორიენტირებულია დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიების მოზიდვაზე, რათა ხელი შეუწყოს მგზავრების ნაკადის ზრდას და როგორც შემომყვანი, ისე გამყვანი ტურიზმის ზრდას და განვითარებას, რითაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

აეროპორტმა ოპერირება დაიწყო 2012 წლის ბოლოს და დღემდე აგრძელებს ზრდას როგორც ავიარეისების, ისე მგზავრების ნაკადის მიმართულებით და ასევე არასავიაციო დამატებითი შემოსავლების წარმოქმნის კუთხითაც.

ოპერაციების ზრდასთან ერთად, პერიოდულად ხორციელდებოდა აეროპორტის ინფრასტრუქტურის დამატებითი განვითარების ღონისძიებები - ახალი ავტოპარკინგების დამატება, გასასვლელის (ე.წ. Gate) და სარეგისტრაციო დახლების დამატება, სხვადასხვა დამხმარე შენობების და ნაგებობების მშენებლობა, დამატებით სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სხვ.

თუმცა ყველაზე მსხვილ პროექტად შეიძლება მივიჩნიოთ 2016-2017 წლებში განხორციელებული სამუშაოები, როდესაც აშენდა მეორე სამიმოსვლო ბილიკი, გაფართოვდა აეროდრომის ბაქანი რითაც საჰაერო ხომალდების სადგომების ოდენობა გაიზარდა 3-დან 9-მდე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მთელი აეროდრომის (300 ჰა) სანიაღვრე სისტემას, სრულად შეიცვალა აეროდრომის ბაქნის განათების სისტემა და სხვ.

რაც შეეხება სამომავლო განვითარების გეგმებს, 2017 წელს დაიწყო და დღეისათვის მიმდინარეობს ასევე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი - ახალი სამგზავრო ტერმინალის მშენებლობა, რომელიც დასრულების შემდეგ არსებულ ტერმინალს შეუერთდება და ერთობლიობაში არსებულზე 3-ჯერ დიდი ფართობის ტერმინალს მივიღებთ. ეს ცვლილება რამდენჯერმე გაზრდის ტერმინალის გამტარუნარიანობას და გაფართოებულ სააეროდრომო ინფრასტრუქტურასთან ერთობლიობაში, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო მიმზიდველს გახდის აეროპორტს მთლიანობაში ახალი ავიაკომპანიებისათვის.

აღნიშნულს ხელს შეუწყობს კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან კოორდინაციით საქართველოს რკინიგზა ახორციელებს - ეს არის აეროპორტის მიმდებარედ სარკინიგზო სადგურის მოწყობა, რაც ამავე დროს დამატებით კომფორტს შექმნის მგზავრებისათვის.

გარდა ამისა, მიმდინარეობს განხილვა აეროპორტის ასაფრენი ზოლის კაპიტალური რეკონსტრუქციის ან ახალი ზოლის მშენებლობის შესახებ, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს აეროპორტის გამტარუნარიანობაზე.

რაც შეეხება ავიაკომპანიებს და მიმართულებებს, ამ ეტაპზე, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ყველაზე მსხვილი გადამყვანი არის ცნობილი ევროპული დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია WIZZ AIR, რომელიც ქუთაისიდან ევროპის 28 ქალაქის მიმართულებით ასრულებს პირდაპირ ავიარეისებს. აღსანიშნავია ავიაკომპანიას თავად ქუთაისის აეროპორტშიც ჰყავს ბაზირებული 3 საჰაერო ხომალდი. 2019 წლის ბოლოსთვის, ასევე კარგად ცნობილმა დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია RYANAIR-მა დაიწყო ოპერირება საქართველოში, ქუთაისიდან 2 მიმართულებით, ხოლო თბილისიდან 1 მიმართულებით.

სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით, UAG აქტიურად მუშაობს როგორც არსებულ ავიაკომპანიებთან მათი ოპერირების მასშტაბის გაზრდის მიზნით, ისე ახალი, მათ შორის დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიების შემოყვანასთან დაკავშირებით.

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

თამარ მეფის სახელობის მესტიის აეროპორტი

მესტიის აეროპორტი ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტია, რომელიც 2010 წლის ბოლოს აშენდა. მისი ძირითადი მიზანია სვანეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა და ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწრაფი და ეფექტური ტრანსპორტირების ალტერნატივის შექმნა, რაც რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. მთავრობის დავალების საფუძველზე, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ასევე ახორციელებს შიდა ფრენების ორგანიზებას, რისთვისაც გარკვეული თანხების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

ამ ეტაპზე აეროპორტი, არსებითად აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს, თუმცა არსებული ოპერირების ხარისხისა და მგზავრთა კომფორტის გაზრდის მიზნით, იგეგმება გარკვეული დამხმარე შენობების მშენებლობა და განიხილება ასევე ახალი, შედარებით დიდი ზომის ტერმინალის მშენებლობის შესაძლებლობები.

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

ამბროლაურის აეროპორტი

ამბროლაურის აეროპორტი, მესტიის აეროპორტის მსგავსად, ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტია, რომელიც 2016 წლის ბოლოს აშენდა. მისი ძირითადი მიზანია რაჭის რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა და ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწრაფი და ეფექტური ტრანსპორტირების ალტერნატივის შექმნა, რაც რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. მთავრობის დავალების საფუძველზე, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ასევე ახორციელებს შიდა ფრენების ორგანიზებას ამბროლაურის მიმართულებითაც, რისთვისაც გარკვეული თანხების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

აეროპორტი, ამ ეტაპზე აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ აეროპორტის ტერმინალი და სააეროპორტო ინფრასტრუქტურაც დაპროექტებული და მოწყობილია იმგვარად, რომ ითვისების მომავალში გაფართოების შესაძლებლობას. აღნიშნული აეროპორტის შემდგომი განვითარების საკითხი განხილულ იქნება ბაზარზე არსებული მოთხოვნის და საჭიროებების ზრდის მიხედვით.

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

ინფორმაცია საერთაშორისო აეროპორტებსა და მიმართულებებზე ოპერაციების განმახორციელებელი ავიაკომპანიების შესახებ

აეროპორტი	ავიაკომპანია	მიმართულება
თბილისი	42	60
ბათუმი	24	23
ქუთაისი	5	31

შენიშვნა: ავიაკომპანიებისა და მიმართულებების რაოდენობა ცვალებადია, სეზონის მიხედვით.

აეროპორტებში მგზავრების ნაკადის ზრდის სტატისტიკა 2012-2019 წლებში

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	1 220 832	1 436 629	1 575 707	1 847 534	2 252 543	3 164 275	3,808,651	3,692,198
თბილისი ზრდა %		17,7%	9,7%	17,3%	21,9%	40,5%	20%	-3.1%
ბათუმი	168 362	208 935	213 820	226 477	312 379	495 704	598,862	624,178
ბათუმი ზრდა %		24,1%	2,3%	5,9%	37,9%	58,7%	21%	4.2%
ქუთაისი	12 916	188 682	218 003	182 954	271 363	405 698	617,342	873,907
ქუთაისი ზრდა %		1360,8%	15,5%	-16,1%	48,3%	49,5%	52%	41.6%
მესტია	2 922	881	1 131	4 458	4 214	7 152	6,741	8,266
მესტია ზრდა %	-	-69,8%	28,4%	294,2%	-5,5%	69,7%	-6%	22.6%
ამბროლაური	-	-	-	-	-	1 609	1,523	1,866
ამბროლაური ზრდა %	-	-	-	-	-	-	-6%	22.5%

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისიდან აეროპორტებში არ სრულდება ფრენები რუსეთის მიმართულებით და მიუხედავად სხვა რეგიონებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდისა, თბილისის აეროპორტში მგზავრების რაოდენობის მცირედით შემცირებას ჰქონდა ადგილი.

III. რისკები

კომპანიის საქმიანობისათვის ძირითადად რისკებისა და გამოწვევების განმსაზღვრელ ფაქტორებს შესაძლოა წარმოადგენდეს ქვეყანაში და რეგიონში არსებული ზოგადი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო და მოვლენები, მათ შორის, სავალუტო კურსის მერყეობა. ასევე რეგიონის და გარკვეულწილად - ევროპის საავიაციო ბაზარზე არსებული ეკონომიკური ვითარება. ასევე, გასათვალისწინებელია ზოგადად სამოქალაქო ავიაციისათვის საერთო უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების გამოწვევები.

კომპანია შეძლებისდაგვარად, ყველა განსაკუთრებულ გარემოებაში, ითვალისწინებს აღნიშნულ რისკებს თავის საქმიანობაში. კერძოდ, ფულადი სახსრების აკუმულირებას კომპანია ახდენს სხვადასხვა ვალუტაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ვალუტაში (რადგან შემოსავალი შეიძლება იყოს სხვადასხვა ვალუტაში) ვალდებულებების შესრულებისას კურსის ცვალებადობით მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილება.

რაც შეეხება ზოგად ეკონომიკური ხასიათის რისკებს, თავისი ძირითადი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას (ავიაკომპანიებთან მოლაპარაკებები, მათთვის სააეროპორტო ავიაკომპანიებისთვის სერვისების გაწევა, უძრავი ქონების მართვა და სხვ.) კომპანია ითვალისწინებს არსებულ ეკონომიკურ გარემოს პოტენციური გარიგებების თუ თავისი სერვისების კომერციულ პირობებზე ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების რისკებს, კომპანიის შესაბამისი სამსახურები სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოფენ კომპანიის საქმიანობის შესაბამისობას სათანადო სტანდარტებთან და რეგულაციებთან, კონკრეტული ვითარების მიხედვით ახდენენ შესაბამისი რისკების შეფასებას და ახორციელებენ მათი გავლენის აღმოფხვრისა თუ შემცირების ღონისძიებებს.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები წარმოიქმნება ფრენების და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ყველა სამგზავრო ფრენა შეჩერებულია, კომპანიის ამონაგების გენერირება უმეტესწილად შეჩერებულია, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები ფრენებზე. კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. კომპანია მოელის მგზავრების 30% ფრენების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და მგზავრების 50% შემდგომი სამი თვის განმავლობაში. თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

თამარ არჩუაძე

დირექტორი

ქეთევან ელოშვილი

ფინანსური მენეჯერი

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება

ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

2019 წლის 31 დეკემბერი

ქეთევან ზეიწყაშვილი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები:

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	22
5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება	24
6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	25
7. ძირითადი საშუალებები	31
8. სხვა გრძელვადიანი აქტივები	32
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	33
10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	35
11. გადავადებული შემოსავალი	35
12. ვალდებულებები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	35
13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	36
14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	36
15. ამონაგები	37
16. სხვა შემოსავალი	38
17. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები	38
18. სხვა საოპერაციო ხარჯები	38
19. ფინანსური რისკის მართვა	39
20. რეალური ღირებულების შეფასება	42
21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	45
22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	46
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	47

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება - კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა 2019

ბიზნა ზეიშვილი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების მფლობელსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანების (შემდგომში „კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის; და
- ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებს, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“- ნაწილში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ, აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული პროფესიულ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის („IESBA“-ის კოდექსი) მოთხოვნების შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული ნორმებით და IESBA-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“ (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას, და განვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფასს-ის და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც ხელმძღვანელობა აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას ასეთის არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის, ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი.#SARAS-A-562091)

2020 წლის 8 ივლისი

თბილისი, საქართველო

ჩეთან ჯანელიძე

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	366,882	371,713
საინვესტიციო ქონება		446	464
არამატერიალური აქტივები		79	114
სხვა გრძელვადიანი აქტივები	8	6,567	3,789
სულ გრძელვადიანი აქტივები		373,974	376,080
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		1,099	1,191
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	7,901	5,282
გადახდილი ავანსები		991	1,330
ავანსად გადახდილი და ანაზღაურებადი გადასახადები		678	2,203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	10	59,596	54,607
სულ მოკლევადიანი აქტივები		70,265	64,613
სულ აქტივები		444,239	440,693
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		394,354	394,660
დაგროვილი ზარალი		(98,449)	(100,521)
სულ კაპიტალი		295,905	294,139
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი დავალიანებები		147	198
გადავადებული შემოსავალი	11	122,028	139,305
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14	14,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		136,175	139,503
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა დავალიანებები	13	10,474	4,838
სახელშეკრულებო ვალდებულებები	12	1,685	2,213
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		12,159	7,051
სულ ვალდებულებები		148,334	146,554
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		444,239	440,693

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელი მოეწერა 2020 წლის 8 ივლისს:

თამარ არჩუაძე
დირექტორი

ქეთევან ელოშვილი
ფინანსური მენეჯერი

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ამონაგები	15	67,997	64,159
სხვა შემოსავალი	16	644	1,292
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	7, 8	(17,790)	(18,257)
მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები	17	(15,004)	(11,145)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11,270)	(12,467)
უსაფრთხოების ხარჯები		(9,588)	(9,588)
ხელფასები და სარგებელი		(7,541)	(6,518)
უიმედო ვალების ამოღება/(გაუფასურება)	8, 9	108	(1,365)
სხვა საოპერაციო ხარჯები	18	(9,284)	(9,835)
საოპერაციო ზარალი		(1,728)	(3,724)
ფინანსური შემოსავალი		2,933	3,734
გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება, წმინდა		867	9
მოგება დაბეგვრამდე		2,072	19
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		2,072	19
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სხვა სრული შემოსავალი		2,072	19

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია გვერდებზე 5-47, წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ქეთევან ზეთიშვილი 2

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათასი ლარი	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის, ანგარიშგების თანახმად	394,816	(100,040)	294,776
ახალი სტანდარტების დანერგვა	-	(500)	(500)
დაკორექტირებული ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისათვის	394,816	(100,540)	294,276
კაპიტალში შენატანები	58	-	58
კაპიტალიდან გატანა	(214)	-	(214)
წლის მოგება	-	19	19
სულ წლის სრული მოგება	-	19	19
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	394,660	(100,521)	294,139
კაპიტალში შენატანები	67	-	67
კაპიტალიდან გატანა	(373)	-	(373)
წლის მოგება	-	2,072	2,072
სულ წლის სრული მოგება	-	2,072	2,072
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	394,354	(98,449)	295,905

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ათასი ლარი	შენიშვნა	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,072	19
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		11,270	12,467
გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება	7, 8	17,790	18,257
(ამოღება)/ გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია სავაჭრო			
მოთხოვნებსა და სხვა გრძელვადიან მოთხოვნებზე	8, 0	(108)	1,365
გადავადებული ამონაგების ამორტიზაცია	11	(17,277)	(17,277)
ზარალი/ (შემოსულობა) ძირითადი საშუალებების გასვლიდან		86	(10)
ფინანსური შემოსავალი		(2,933)	(3,734)
უცხოური ვალუტის გადაფასების შემოსულობა, წმინდა		(867)	(9)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		10,033	11,078
ცვლილებები საბრუნავ კაპიტალში			
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(8,001)	(2,298)
შემცირება მარაგებში		92	7
შემცირება გადახდილ ავანსებში		339	303
შემცირება ავანსად გადახდილ და ანაზღაურებად გადასახადებში		1,525	480
შემცირება სავაჭრო და სხვა დავალიანებებში		4,218	1,313
(შემცირება)/ზრდა მიღებულ ავანსებში		(528)	168
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		7,678	11,051
მიღებული საპროცენტო შემოსავალი		2,933	3,771
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		10,611	14,822
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(20,397)	(19,421)
შემოსულობები ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	21
არამატერიალური აქტივების შეძენა		-	(7)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(20,397)	(19,407)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
დაფინანსება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან	14	14,000	-
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		14,000	-
ვალუტის გაცვლის კურსების ცვალებადობის გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე			
		775	186
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		4,989	(4,399)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	0	54,607	59,006
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	0	59,596	54,607

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა

კომპანია დაფუძნდა 2010 წლის 1 ნოემბერს. 2011 წლის 19 აპრილს კომპანია შეერწყა სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტს“ და მისი სამართალმემკვიდრე გახდა ყველა არსებულ სახელშეკრულებო ურთიერთობაში. კომპანია შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა და შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მდებარეობს საქართველოში და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404389693.

კომპანიის უშუალო და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა საქართველოს მთავრობა („მფლობელი“), წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროთი.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის საქმიანობა მოიცავს საქართველოში სამოქალაქო აეროპორტების განვითარებას, ოპერირებასა და ზედამხედველობას. კომპანია თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში საერთაშორისო აეროპორტების მფლობელია, ასევე ფლობს მესტიისა და ამბროლაურის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტებს. ქუთაისის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტების ოპერირებას კომპანია ახორციელებს, ხოლო თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერირება კონცესიური შეთანხმებების ფარგლებში ხორციელდება.

2005 წლის 6 სექტემბერს სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტმა“ „თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ტერმინალის შენობისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შეთანხმებით“ („თავდაპირველი BOT შეთანხმება“) თბილისის აეროპორტის მიწა, ყველა შენობით, მოწყობილობებით, ავტომატური მანქანა-დანადგარებითა და მარაგით, გამოყენების უფლებით გადასცა შპს „ტავ ურბან ჯორჯიას“ („ტავ“ „ოპერატორი“). აღნიშნული თავდაპირველი BOT შეთანხმებით (რომელშიც ცვლილებები შევიდა 2006 და 2010 წლებში), თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ოპერირების უფლების სანაცვლოდ „ტავ“-მა იკისრა ვალდებულება ახალი აეროპორტის ტერმინალისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობასთან დაკავშირებით, ასევე კარგი საოპერაციო მდგომარეობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით. კონცესიის პერიოდი თავდაპირველად განისაზღვრა 10,5 წლით ახალ ტერმინალში ოპერაციების დაწყებიდან. ახალ ტერმინალში ოპერაციები დაიწყო 2007 წლის 7 თებერვალს.

2006 წლის 4 აგვისტოს ცვლილება შევიდა თავდაპირველ BOT შეთანხმებაში, „ტავ-ი“ დათანხმდა მინიმუმ 28.5 მილიონი აშშ დოლარის დახარჯვას ბათუმის აეროპორტში, თბილისის აეროპორტის კონცესიის პერიოდის 9.5 წლით გაგრძელების სანაცვლოდ.

2015 წლის 25 მაისს კომპანიის მფლობელმა ბათუმის აეროპორტის მიწა და შენობები შეიტანა კომპანიის კაპიტალში. 2015 წლის 28 მაისს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ შეთანხმება გააფორმა შპს „ბათუმის აეროპორტთან“, რომელიც არის 100%-ით საქართველოს სახელმწიფოს საკუთრებაში, რომლის მართვას ახორციელებდა შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტის გადაცემასა და ოპერირებაზე 2027 წლის 10 აგვისტომდე.

2015 წლის 28 მაისს „ტავ-მა“ და „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებამ“ ხელი მოაწერეს შეცვლილ და შესწორებულ „მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის შეთანხმებას თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან დაკავშირებით“ („შესწორებული BOT შეთანხმება“), რომლის შესაბამისად „ტავ-მა“ აიღო დამატებითი ჩამოფრენის ტერმინალისა და დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობის ვალდებულება კონცესიის პერიოდის 2027 წლის 21 იანვრამდე გაგრძელების სანაცვლოდ. აღნიშნული დამატებითი ჩამოფრენის ტერმინალის ოპერირება 2017 წლის ივლისში დაიწყო.

ზემოაღწერილი შეთანხმებების შესაბამისად კომპანია ღებულობს პროექტის საზღაურს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორებისგან, რაც წარმოადგენს წილს ჩამოფრენისა და მიწაზე მომსახურების საზღაურიდან, რომელსაც ოპერატორები თავიანთ მომხმარებლებს აკისრებენ. ამასთან, კომპანიის ამონაგები წარმოიქმნება უსაფრთხოების მომსახურებიდან, ავიაკომპანიების თვითმფრინავებისა და მგზავრების უსაფრთხოების მომსახურებისთვის, რაც შესაბამის აეროპორტებში გაიწევა.

ბათუმის აეროპორტი

1. შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ და მისი საქმიანობა (გაგრძელება)

ქუთაისის აეროპორტი საერთაშორისო აეროპორტია, რომელიც ფოკუსირებულია იაფი საერთაშორისო ფრენების განვითარებაზე, დაბალბიუჯეტური ავიახაზების მოზიდვისა და კონკურენციის გაზრდაზე, ქართული მაკროეკონომიკური, პოლიტიკური და ბიზნეს-გარემოს პოპულარიზაციაზე, და შედეგად ხელს უწყობს თვითმფრინავის ბილეთების დაბალ ფასებს, რათა გაიზარდოს მგზავრთა ნაკადი, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ტურიზმის განვითარებას.

ბათუმის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტებში რეგულარული ფრენების შენარჩუნებისათვის კომპანია ფინანსურ დახმარებას იღებს საქართველოს მთავრობისგან, რომ დასუბსიდირდეს ამ ფრენების ორგანიზების დანახარჯების ნაწილი.

რეგისტრაციის მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის რეგისტრაციის მისამართია საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, აეროპორტის დასახლება, 0109. კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო, თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტები.

წარსადგენი ვალუტა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათასობით ქართულ ლარში (GEL).

ქეთევან ჭეიუაძე

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს იღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. ქვემოთ მოცემულია ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ყველა წარმოდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებისათვის საჭიროა გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენება. მოითხოვება ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, სადაც მაღალი ხარისხით იქნა გამოყენებული განსჯა და სირთულით ხასიათდება, ასევე სფეროები, სადაც დაშვებები და შეფასებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისათვის, გამჟღავნებულია მე-4 განმარტებით შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ განმარტებითი შენიშვნა 4.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები წარმოდგენილია ქვემოთ:

უცხოური ვალუტის კონვერტაცია კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (შემდეგში "GEL").

ოპერაციები და ნაშთები. მონეტარული აქტივები და ვალდებულებები კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაყვანილია შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლის კურსით. უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მოგება და ზარალი, წარმოქმნილი ოპერაციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით გადაყვანიდან, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში, ფინანსური შემოსავლის ან დანახარჯის სახით. წლის ბოლოს არსებული კურსით გადაყვანა არ ვრცელდება არამონეტარულ მუხლებზე, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული.

ბიჭიაძე გიორგი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

2019 წლის 31 დეკემბრისთვის სებ-ის მიერ დადგენილი ძირითადი სავალუტო გაცვლითი კურსები იყო შემდეგი: აშშ დოლარი 1 = 2.8677 ლარს და 1 ევრო = 3.2095 ლარს (20-18 წლის 31 დეკემბერი 1 აშშ დოლარი = 2.6766 ლარს და 1 ევრო = 3.0701 ლარს). ამაჟამად, ქართული ლარი არ არის თავისუფლად გაცვლადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარცხებით, საჭიროებისამებრ. შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის კომპანიაში შემოსვლა და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტისა და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში. გასულ წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი განისაზღვრება ამონაგების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და წლის მოგება-ზარალში აღიარდება.

კონცესიური მომსახურების გარიგებებში გამოყენებული აქტივები და გადავადებული შემოსავალი. კომპანია კონცესიის აქტივის სახით აღიარებს კონცესიური მომსახურების ოპერატორის მიერ შექმნილ აქტივს და/ან არსებული აქტივის გაუმჯობესებას მის მიერ, თუ:

- ა) კომპანია აკონტროლებს ან არეგულირებს, რა სახის მომსახურება უნდა გასწიოს ოპერატორმა ამ აქტივის მეშვეობით, ვის უნდა გაუწიოს და რა ფასად; და
- ბ) კომპანია აკონტროლებს - საკუთრებისა და ბენეფიციარის უფლებამოსილების მეშვეობით, ან სხვა გზით - მნიშვნელოვან დარჩენილ წილს აქტივში, შეთანხმებით გათვალისწინებული ვადის ბოლოს.

კომპანია მსგავსი კონცესიური აქტივის თავდაპირველ შეფასებას ახორციელებს მისი რეალური ღირებულებით. როდესაც კომპანიის არსებული აქტივი აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ (ა) და (ბ) ქვეპუნქტებში მითითებულ პირობებს, კომპანია ამ აქტივის რეკლასიფიკაციას ახდენს კონცესიური მომსახურების აქტივად, მაგრამ მის საბალანსო ღირებულებით შეფასებას აგრძელებს. კონცესიური მომსახურების აქტივები კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება „ძირითად საშუალებებში“. თავდაპირველი აღიარების ან რეკლასიფიკაციის შემდეგ კონცესიური მომსახურების აქტივები აღირიცხება, როგორც აქტივების ცალკე ჯგუფი, ბასს 16-ის შესაბამისად, თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურებით.

ქეთევან ჭეიშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როდესაც კომპანია კონცესიური მომსახურების აქტივს აღიარებს, ის აღიარებს ასევე ვალდებულებას და მის თავდაპირველ შეფასებას ახორციელებს იმავე თანხით, რომლითაც კონცესიური მომსახურების აქტივია შეფასებული. კომპანია ვალდებულებას არ აღიარებს, როდესაც კომპანიის არსებული აქტივი რეკლასიფიცირდება კონცესიური მომსახურების აქტივად. როდესაც კომპანიას არა აქვს ოპერატორისთვის ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადახდის უპირობო მოვალეობა კონცესიური მომსახურების აქტივის მშენებლობის, განვითარების, შეძენის ან გაუმჯობესებისთვის და ოპერატორს აძლევს მესამე მხარის მომხმარებლებისგან შემოსავლის მიღების უფლებას, კომპანია ამ ვალდებულებას აღრიცხავს, როგორც კომპანიასა და ოპერატორს შორის აქტივების გაცვლიდან წარმოშობილი შემოსავლის გამოუმუშავებელ ნაწილს. ეს ვალდებულება ფინანსურ ანგარიშგებაში ისახება „გადავადებული შემოსავლის“ სახით.

კომპანია შემოსავალს აღიარებს და ვალდებულებას ამცირებს კონცესიური მომსახურების შეთანხმების ეკონომიკური შინაარსის შესაბამისად, რაც გულისხმობს, რომ კომპანია კონცესიური მომსახურების შეთანხმების ფარგლებში ოპერატორისთვის შეთანხმების ვადის განმავლობაში გადაცემული უფლების სანაცვლოდ მიღებულ აქტივებთან დაკავშირებულ სარგებელს გამოიმუშავებს. შემოსავალი აღიარდება და ვალდებულება შემცირდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, რადგან სალიცენზიო მომსახურების აქტივის გამოყენების უფლება ოპერატორს გადაცემული აქვს ამ კონცესიური მომსახურების შეთანხმების ვადის განმავლობაში.

უფლების გადამცემის მიერ შეღავათიანი შეთანხმებების სააღრიცხვო მიდგომისთვის IPSAS 32-ის - „შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი“ - გამოყენებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი განსჯის გამოყენების შესახებ ინფორმაციისთვის იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

ცვეთა. მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობასა ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე ღირებულების გასანაწილებლად:

• შენობები	10 - 50 წელი
• მანქანები და მოწყობილობები	5 - 20 წელი
• ავტომობილები	8 - 10 წელი
• სხვა	5 - 10 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, შემცირებული გასვლის დანახარჯებით, აქტივი უკვე იმ ხნის და იმ მდგომარეობაში რომ იყოს, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ადგილი ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. აქტივების სალიკვიდაციო ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება და შესწორდება, საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის ყველა არამატერიალურ აქტივს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები კაპიტალიზდება მათი შეძენისა და გამოსაყენებლად მომზადებისთვის გაწეული დანახარჯების საფუძველზე.

ბიზნეს შედეგები

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის მიერ კონტროლირებულ იდენტიფიცირებად და უნიკალურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან პირდაპირ დაკავშირებული შექმნის დანახარჯები არამატერიალური აქტივების სახით აღირიცხება, თუ მოსალოდნელია ზრდადი ეკონომიკური სარგებლის, რაც დანახარჯებს აღემატება, შემოსვლა. კაპიტალიზებული დანახარჯები მოიცავს იმ თანამშრომლების გასამრჯელოების ხარჯს, რომლებიც მის შექმნაზე მუშაობდნენ და ასევე შესაბამისი ზედნადები ხარჯების სათანადო ნაწილს. კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი, მაგ., მისი საექსპლუატაციო ხარჯი, გაწევისთანავე ხარჯებში აისახება.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, მათი მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანიის პროგრამული უზრუნველყოფისა და ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადა 5-დან 25 წლამდეა.

გაუფასურების შემთხვევაში არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მათი გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესამდე.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი უძრავი ქონება, საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს ასევე მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად გამიზნულ მშენებარე აქტივებს.

საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ანარჩები, საჭიროებისამებრ. საინვესტიციო ქონების შესაძლო გაუფასურების რაიმე ნიშნის არსებობს შემთხვევაში კომპანია ანაზღაურებად ღირებულებას აფასებს გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის უდიდესით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე წლის მოგება ზარალზე დარიცხვის მეშვეობით. გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება, თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებები შეიცვლება.

შემდგომი დანახარჯი მხოლოდ მაშინ კაპიტალიზდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა და შესაძლებელია დანახარჯის საიმედოდ შეფასება. შეკეთებისა და მოვლა-შენახვის ყველა სხვა დანახარჯი გაწევისთანავე ხარჯებში აისახება. თუ საინვესტიციო ქონებას მფლობელი დაიკავებს, მაშინ ის ძირითად საშუალებებში რეკლასიფიცირდება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. არამატერიალურ აქტივებს, რომლებსაც განუსაზღვრელი მომსახურების ვადა აქვს ან არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც გამოყენებისთვის მზად არ არის, ცვეთა არ ერიცხება და ყოველწლიურად ხდება მათი გაუფასურებაზე ტესტირება. აქტივებს, რომლებსაც ცვეთა და ამორტიზაცია ერიცხებათ, მიმოიხილავენ გაუფასურების თვალსაზრისით, როდესაც მოვლენები ან ვითარების ცვლილება მიუთითებს, რომ შეიძლება საბალანსო ღირებულება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი თანხა არის აქტივის რეალურ ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივებს აჯგუფებენ რაც შეიძლება უმცირეს დონეზე, რომელზეც არსებობს დამოუკიდებელი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). არაფინანსური აქტივების ადრინდელი გაუფასურება ყოველი საანგარიშგებო თარიღით გადაიხინჯება გაუფასურების შესაძლო ანულირების თვალსაზრისით.

ქეთევან ჭეიშიაშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიური ბაზარი გახლავთ ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებითაც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, ფასდება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გამრავლებით საწარმოს მიერ ფლობილ რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა არ არის საკმარისი ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემების გათვალისწინება, გამოიყენება იმ კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემი დაკვირვებადია, პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

რეალური ღირებულების იერარქიაში დონეებს შორის ტრანსფერს, ითვლება, რომ ადგილი ჰქონდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

გარიგების დანახარჯები გახლავთ დამატებით დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითი დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავენ სააგენტოებისა და ფასიანი ქაღალდების ბირჟისთვის (მათ შორის თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ, როგორც გაყიდვების აგენტები) გადახდილ საფასურს და საკომისიოს, და აგრეთვე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავენ სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ("ECL"). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტს ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი, ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ჩიოვან ნუგუაძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების ("POCI") შემთხვევაში თავდაპირველი აღიარებისას უნდა განისაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, მაგალითისთვის, სახელშეკრულებო გადახდების ნაცვლად, ის თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი სახსრების საფუძველზე გამოითვლება.

ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება. ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით, მოგება ზარალში ასახვით (FVTPL), თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, კორექტირებული ტრანზაქციების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა ტრანზაქციების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და ტრანზაქციის ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) რაც გამოიწვევს მყისიერ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომელიც მოითხოვს საბაზრო კონვენციის ან რეგულაციის მიხედვით დროის გარკვეულ მონაკვეთში მიწოდებას („რეგულარული გზით“ შესყიდვები და გაყიდვები) გატარდება იმ სავაჭრო თარიღით, რომელზეც კომპანია ფინანსური აქტივის მიწოდებას ახორციელებს. ყველა სხვა შესყიდვები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია ხდება მხარე ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებებში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს შემდეგი შეფასების კატეგორიებად აჯგუფებს: „რეალური ღირებულებით, „მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL)“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI) და ამორტიზებული ღირებულებით (AC)“. ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის; და (ii) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ბიზნეს მოდელი. ბიზნეს მოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი“), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება („სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობილი“) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL).

ქეთევან ზეიწყაშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები. როდესაც ბიზნეს მოდელი გულისხმობს აქტივების ფლობას სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად, მაშინ კომპანია აფასებს ფულადი ნაკადები წარმოადგენენ თუ არა მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI"). ფინანსური აქტივების, ჩართული წარმოებულებით, მთლიანად გათვალისწინება ხდება იმის განსაზღვრისას, ფულადი ნაკადები შესაბამისობაშია თუ არა SPPI-მახასიათებელთან. შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს, სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია თუ არა, ანუ პროცენტში მხოლოდ საკრედიტო რისკი და ფულის დროითი ღირებულებაა გათვალისწინებული თუ სხვა საბაზისო რისკები და მოგების მარჟა.

როდესაც სახელშეკრულებო პირობები მოიცავს რისკს ან ცვალებადობას, რომელიც საბაზისო სასესხო ხელშეკრულების თანმიმდევრულია, მაშინ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება, როგორც „რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგება-ზარალში ასახვით“. SPPI-ს შეფასება ხდება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას და შემდეგ მისი ხელახლა შეფასება არ ხდება.

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია. ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და FVOCI-ით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სავალო ვალდებულებებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის, სახელშეკრულებო აქტივების შემთხვევაში. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და სახელშეკრულებო აქტივები წმინდად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გარეშე, წარდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას სავაჭრო და იჯარის მოთხოვნების გაუფასურებისთვის. სხვა ფინანსური აქტივებისთვის კომპანია იყენებს გაუფასურების სამ ეტაპიან მოდელს, რომელიც ეფუძნება თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილებებს.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა. ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დაასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ბიზნეს გეგმა

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც პარტნიორს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში დაუკავშირებელ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური აქტივები – მოდიფიცირება ზოგჯერ კომპანია ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებთან დაკავშირებით ხელახლა მოილაპარაკებს ან სხვაგვარად ახორციელებს მის მოდიფიცირებას.

თუ მოდიფიცირებული პირობები არსებითად განსხვავებულია, თავდაპირველი აქტივიდან ფულად ნაკადებზე უფლება შეწყდება და კომპანია შეწყვეტს თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას და ახალ აქტივს აღიარებს რეალური ღირებულებით. აღიარების თარიღად მიიჩნევა თავდაპირველი აღიარების თარიღი გაუფასურების შემდგომი გამოთვლის მიზნებისათვის, მათ შორის იმის განსაზღვრისთვის, ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან გაზრდას. კომპანია შეაფასებს ასევე ახალი სესხი ან სავალო ინსტრუმენტი აკმაყოფილებს თუ არა მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) კრიტერიუმებს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალი, მნიშვნელოვნად მოდიფიცირებული აქტივის რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობა მოგება-ზარალში აღიარდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს განსხვავება მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ისეთ ვითარებაში, როდესაც ხელახლა მოლაპარაკება გამოწვეული იყო პარტნიორის ფინანსური სირთულეებით და თავდაპირველად შეთანხმებული გადახდების განხორციელების უუნარობით, კომპანია შეადარებს თავდაპირველ და გადასინჯულ ფულად ნაკადებს, რათა შეაფასოს აქტივის რისკები და უკუგება მნიშვნელოვნად განსხვავებულია თუ არა ხელშეკრულების მოდიფიცირების შედეგად. თუ რისკები და უკუგება არ იცვლება, მაშინ მოდიფიცირებული აქტივი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება თავდაპირველი აქტივისგან და მოდიფიცირება აღიარების შეწყვეტას არ გამოიწვევს. კომპანია ხელახლა გამოითვლის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებას მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ან კრედიტით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით შემენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის (“POCI” აქტივები)) დისკონტირებით და მოდიფიცირების შემოსულობა ან ზარალს მოგება-ზარალში აღიარებს.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ შეფასებული („AC“), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემძენის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიო ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ჩიოვან ზეყიფაშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანიასა და მის თავდაპირველ გამსესხებლებს შორის მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების გაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების პირობების მნიშვნელოვანი მოდიფიცირება, აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები მნიშვნელოვნად განსხვავებულია, თუ ახალი პირობებით ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულება, გადახდილი საკომისიოს ჩათვლით და მიღებული საკომისიოს გამოკლებით, რომელიც დისკონტირებულია თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული ახლანდელი ღირებულებისგან. როდესაც სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების მოდიფიცირება დაფარვის სახით აღირიცხება, ნებისმიერი გაწეული დანახარჯი ან საკომისიო აღიარდება დაფარვისას წარმოქმნილ შემოსულობის ან ზარალის ნაწილად. თუ გაცვლა ან მოდიფიცირება დაფარვის სახით არ აღირიცხება, ნებისმიერი დანახარჯი ან საკომისიოთი კორექტირდება ვალდებულების საბალანსო ღირებულება და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილ ვადაში.

ვალდებულებების მოდიფიცირება, რომელიც არ იწვევს დაფარვას, აღირიცხება, როგორც შეფასების ცვლილება, კუმულაციური ამოქაჩვის მეთოდით, შემოსულობის ან ზარალის მოგება-ზარალში ასახვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა ეკონომიკური შინაარსით მიეკუთვნება მფლობელებთან კაპიტალ-ოპერაციას.

ფინანსური ვალდებულებები, რომელთაც მინიჭებული აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია კომპანიამ შეიძლება გარკვეულ ვალდებულებებს თავდაპირველი აღიარებისას მიანიჭოს რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, შეფასების კატეგორია. მსგავსი ვალდებულებებიდან წარმოქმნილი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება, გარდა რეალური ღირებულების ცვლილების თანხისა, რომელიც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებაზეა მიკუთვნებადი (განისაზღვრება თანხით, რომელიც მიკუთვნებადი არ არის საბაზრო პირობების ცვლილებაზე, რაც წარმოქმნის საბაზრო რისკს.), სხვა სრულ შემოსავალში აისახება და შემდეგში მოგება-ზარალში არ რეკლასიფიცირდება. ეს ასეა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მსგავსი წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის სააღრიცხვო შეუსაბამობას, როდესაც ვალდებულების საკრედიტო რისკის ცვლილებებზე მიკუთვნებადი შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აისახება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუუნარობა ან გაკოტრება.

ქოკან ბუთიაშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი არსებობს სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას ("SPPI") წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია. გახსიათებლებს, რომლებიც მხოლოდ კანონმდებლობით განისაზღვრება, როგორიცაა მაგალითად სავალო ვალდებულებების რესტრუქტურისაციის კანონმდებლობა გარკვეულ ქვეყნებში, გავლენა არა აქვს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდის ტესტზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის სახელშეკრულებო პირობებში აისახება ისე, რომ ის მაინც ძალაში იქნება, კანონმდებლობა რომც შეიცვალოს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტი ხელშეკრულების ფარგლებში ასრულებს თავის მოვალეობებს. იგი თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემდგომში კი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრები თავდაპირველად რეალური ღირებულებით აღიარდება, შემცირებული გარიგების დანახარჯებით, შემდგომ კი ამორტიზირებული ღირებულებით აღირიცხება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯების კაპიტალიზება სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული საერთო და სპეციფიკური დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიკუთვნებადია აქტივის შეძენაზე, მშენებლობაზე ან შექმნაზე, რასაც მნიშვნელოვანი დრო სჭირდება განზრახული მიზნით მოხმარებისათვის ან გასაყიდად მოსამზადებლად (განსაკუთრებული აქტივი), შეადგენს ამ აქტივების თვითღირებულების ნაწილს, თუ კაპიტალიზების დაწყების თარიღია 2009 წლის 1 იანვარი ან შემდეგი თარიღი.

კაპიტალიზაციის დაწყების თარიღია, როდესაც: (ა) კომპანია ეწევა დანახარჯებს განსაკუთრებული აქტივისათვის; (ბ) იგი ეწევა სესხით სარგებლობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს; და (გ) იგი ახორციელებს ღონისძიებებს, რაც აუცილებელია აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის ან გასაყიდად მოსამზადებლად.

კაპიტალიზაცია წყდება მაშინ, როდესაც განსაკუთრებული აქტივის გამიზნული მოხმარებისთვის, ან გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო ყველა ღონისძიება დასრულდება.

კომპანია ახორციელებს სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული იმ დანახარჯების კაპიტალიზებას, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა კაპიტალ-დანახარჯები რომ არ გაწეულიყო განსაკუთრებულ აქტივებზე. კაპიტალიზებული სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები გამოითვლება კომპანიის საშუალო დაფინანსების დანახარჯის (შეწონილი საშუალო საპროცენტო განაკვეთი მრავლდება განსაკუთრებული აქტივებზე დანახარჯებზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც თანხები ნასესხებია კონკრეტულად კვალიფიციური აქტივის შეძენისათვის. ასეთ შემთხვევაში, კაპიტალიზდება კონკრეტულ ნასესხებ თანხასთან დაკავშირებით, სესხით სარგებლობასთან მიმართებით, ფაქტობრივად გაწეული დანახარჯები, შემცირებული ნებისმიერი საინვესტიციო შემოსავლით ამ ნასესხები თანხების დროებითი ინვესტირებიდან.

ქეთევან ჯეიშოჭილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური გარანტიები ფინანსური გარანტიები რომლებითაც მოითხოვება კომპანიის მიერ კონკრეტული გადახდების განხორციელება, რათა გარანტიის მფლობელს აუნაზღაუროს ზარალი, რომელსაც იგი იღებს იმის გამო, რომ კონკრეტულმა მოვალემ დროზე ვერ შეძლო გადახდა, სავალო ინსტრუმენტის თავდაპირველი ან მოდიფიცირებული პირობების შესაბამისად. სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რომლის მტკიცებულება, როგორც წესი, არის მიღებული საფასურის ოდენობა. ეს თანხა ამორტიზდება წრფივი მეთოდით გარანტიის მომსახურების ვადის განმავლობაში. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების შეფასება ხდება შემდეგს შორის უდიდესით: (i) თავდაპირველად აღიარებული თანხის დარჩენილი არა-ამორტიზებული ნაშთი და (ii) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მოცემული ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების საუკეთესო შეფასება. ამასთან, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, შემცირებული ანარიცხით, აღიარდება როგორც საკომისიოს მოთხოვნა, რომელიც აქტივის სახით აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან. მაშინ, როდესაც კომპანია მეიჯარეა და აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არ გადაიცემა მოიჯარეს (ე.ი. საოპერაციო იჯარა) საოპერაციო იჯარიდან მიღებული იჯარის გადახდები აღიარდება, როგორც შემოსავალი წრფივი მეთოდის საფუძველზე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა. შედეგად, კომპანიამ შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება 2016 წლის 31 დეკემბერს და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წლის მოგება-ზარალში. პირობითი მოგების საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას.

ქეთევან ნუყოშვილი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ მუხლში - „გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა“.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიცია ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადისთვის, რაც განისაზღვრება ხელმძღვანელობის მიერ, რომ უფრო მეტად სავარაუდოა, რომ გამოიწვევს დამატებითი გადასახადების დაკისრებას საგადასახადო ორგანოების მხრიდან კითხვები რომ დაისვას. აღნიშნული შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას, რომლებიც ძალაშია ამჟამად ან ძალაში იქნება საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის. საურავებთან, პროცენტთან და მოგების გარდა სხვა გადასახადებთან დაკავშირებული ვალდებულებები აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი საგადასახადო პოზიციის კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ხარჯში. კორექტირებები გაურკვეველი საგადასახადო პოზიციისთვის პროცენტისა და ჯარიმების თვალსაზრისით შესაბამისად აღირიცხება ფინანსურ ხარჯებში და სხვა შემოსულობებში/(ზარალში), წმინდად.

დამატებითი ღირებულების გადასახადი წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი, დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღე ამოღებადია ჩასათვლელი დღე-ის საპირისპიროდ, დღე-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გაყიდვებთან და შესყიდვებთან დაკავშირებული დღე აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მთლიან საფუძველზე და განმარტებულია ცალკე, როგორც აქტივი და ვალდებულება. მაშინ, როდესაც მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი გაკეთებულია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მევალის მთლიანი თანხისთვის, დღე-ის ჩათვლით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებელ გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს. ნეტო სარეალიზაციო ფასი არის შეფასებული, ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობისას გასაყიდი ფასი, შემცირებული დასრულებისა და გაყიდვის ხარჯებით.

ჩიოვან ზეიფაძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გადახდილი ავანსი გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

საწესდებო კაპიტალი კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელის მიერ. კომპანიის წესდებაში ცვლილებების (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრებისა და სხვა) შეტანა შესაძლებელია მხოლოდ კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე. მფლობელის მიერ კომპანიაში არაფულადი შენატანები ფასდება შეტანილი აქტივების რეალური ღირებულებით. რეალურ ღირებულებასა და მფლობელის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საწესდებო კაპიტალში შენატანს შორის სხვაობა პირდაპირ კომპანიის საკუთარ კაპიტალში, გაუნაწილებელ მოგებაში / დაგროვილ დეფიციტში აისახება.

დივიდენდები დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები გამჟღავნდება საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადისა და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის შესასრულებლად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება ვალდებულების ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით ფინანსურ დანახარჯებში.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

ქეთევან ზეიწყაძე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები ამა თუ იმ ძირითადი საშუალების დემონტაჟის და მოცილების შეფასებული დანახარჯები (აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობები) ემატება აქტივის დანახარჯებს აქტივის შეძენისას, ან ამ აქტივის იმ პერიოდში გამოყენებისას, როდესაც მისი გამოყენების მიზანი განსხვავდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შექმნისაგან. როდესაც იცვლება აქტივის ხმარებიდან ამოღების მოვალეობის შეფასება, ამ მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო რესურსების გასვლის შეფასებული ვადების და თანხის ცვლილების გამო, ან დისკონტირების განაკვეთის ცვლილების გამო, დაკავშირებული აქტივის თვითღირებულება შესწორდება, თუ დაკავშირებული აქტივი ფასდება თვითღირებულების მოდელით, ან შესწორდება გადაფასების ნამეტი, თუ აქტივი ფასდება გადაფასების მოდელის გამოყენებით.

ამონაგების აღიარება. ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას. ამონაგები აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად, მესამე მხარის სახელით ამოღებული თანხების გარეშე.

ამონაგები აღიარდება ფასდათმობების, საქონლის დაბრუნების და დღგ-ის გარეშე.

დაფინანსების კომპონენტები. კომპანიას აქვს ხელშეკრულებები, როდესაც დაპირებული სერვისების მომხმარებლისთვის გადაცემასა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის ვადა ერთ წელზე მეტია. შედეგად, კომპანია გარიგების ფასებს ფულის დროითი ღირებულების გათვალისწინებით აკორექტირებს.

სახელშეკრულებო აქტივები და ვალდებულებები. თუ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება აღემატება გადახდას, სახელშეკრულებო აქტივი აღიარდება. თუ გადახდები აღემატება გაწეულ მომსახურებას, სახელშეკრულებო ვალდებულება აღიარდება.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვა აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც მომსახურება გაიწევა, კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი განისაზღვრება, როგორც ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ხვედრითი წილი მთლიანად გასაწევ მომსახურებაში.

საავიაციო შემოსავალი მოიცავს სხვადასხვა სააეროპორტო მომსახურებიდან წარმოქმნილ შემოსავალს, მათ შორის შემოსავალს უსაფრთხოების მომსახურებიდან, პარკირებიდან და სხვა მომსახურებებიდან. ამონაგები აღიარდება მგზავრთა რაოდენობის, ასაფრენი ბილიკის გამოყენების (აფრენისა და მოფრენისთვის), პარკირებისა, პლატფორმის და სხვა მომსახურებების შესახებ თანამშრომლებისა და ავიაკომპანიების ყოველდღიური ანგარიშების საფუძველზე.

არასაავიაციო შემოსავალი მოიცავს პროექტის საზღაურს, რომელიც თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორებისგან მიიღება. პროექტის საზღაურიდან ამონაგები მოიცავს თბილისისა და ბათუმის აეროპორტების ოპერატორების მიერ დარიცხული მოფრენისა და მიწაზე მომსახურების საზღაურის წილს. მიწაზე მომსახურებიდან შემოსავალი აღიარდება მომსახურების გაწევისას, ოპერატორებისგან მიღებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე. ოპერატორების მოფრენის საზღაურის განაკვეთები განისაზღვრება მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შეთანხმებით და აღიარდება მომსახურების გაწევისას, ოპერატორებისგან მიღებული ყოველთვიური ანგარიშების საფუძველზე.

არასაავიაციო შემოსავალი ასევე მოიცავს კონტრაგენტებისათვის მგზავთა ტრანსპორტირების, რეკლამის, საწვავის და სხვა მომსახურებების ექსკლუზიური უფლების გადაცემიდან შემოსავალს დარიცხვის მეთოდით, რომელიც ეფუძნება საიჯარო პერიოდს(თვე) და/ან აეროპორტში გამოყენებულ ფართს. გაცემული უფლებებისთვის კომპენსაცია ფიქსირებულია და დაკავშირებულია გაწეული მომსახურების მოცულობასთან.

ქეთევან ჭყეიშვილი

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კონცესიური უფლებების გაცემიდან შემოსავალი აღიარდება იმ თარიღიდან, როდესაც ამ უფლების გამოყენება შესაძლებელი გახდა, კონცესიის პერიოდის განმავლობაში, რათა აისახოს ეკონომიკური სარგებელი, რომელსაც მოსალოდნელია, რომ ოპერატორი მოიხმარს.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღიარდება დროის პროპორციულად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით.

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები რეალური ღირებულებით აღიარდება, როდესაც არსებობს დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ კომპანია გრანტს მიიღებს და შეასრულებს დაკავშირებულ პირობებს. დანახარჯების ანაზღაურებასთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები (სუბსიდიები) მოგება-ზარალში ინეტება შესაბამის დანახარჯთან.

რეალური ღირებულებიდან შემოსულობა საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით სახელმწიფო გრანტის თავდაპირველი შეფასებისას, განიხილება, როგორც სახელმწიფო გრანტი. სესხი აღიარდება და შეფასდება ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები-ს შესაბამისად. საბაზროზე დაბალი საპროცენტო განაკვეთის სარგებელი შეფასდება, როგორც სხვაობა ფასს 9-ს შესაბამისად განსაზღვრული სესხის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და მიღებულ შემოსულობას შორის.

მომუშავეთა გასამრჯელოება კომპანიის თანამშრომლებისთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი დაირიცხება თანამშრომლების მიერ დაკავშირებული მომსახურების გაწევის წელს. კომპანია არ ეწევა რაიმე ხარჯებს თავისი თანამშრომლების საპენსიო ანარიცხებთან ან დაქირავების შემდგომ გასამრჯელოებთან დაკავშირებით.

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს კომპანიის ხელმძღვანელობამ, ვინც გამოსაცემად დაამტკიცა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება.

ქეთევან ჭეიფიჭიკაძე

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე მოამზადა. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, არსებული განზრახვები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა. 2019 წელს კომპანიის წმინდა მოგებამ 2,072 ათასი ლარი შეადგინა (2018: 19 ათასი ლარი). 2019 წელს კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადები და შემოსავალი პროცენტის დარიცხვამდე, დაბეგვრამდე, ცვეთის და ამორტიზაციის გამოქვითვამდე (EBITDA) პოზიტიური იყო, 10,611 ათასი ლარი და 27,322 ათასი ლარი, შესაბამისად. (2018: 14,822 ათასი ლარი და 30,743 ათასი ლარი). კომპანიის ლიკვიდობა და ზოგიერთი მსხვილი კაპიტალური პროექტის განხორციელება დამოკიდებული იქნება სახელმწიფო დახმარებაზე. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მსგავსი დახმარება ხელმისაწვდომი იქნება, რაც კომპანიას საპროგნოზო მომავალში თავისი საქმიანობის შეკვეცის გარეშე შესრულების საშუალებას მისცემს. შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს აღრიცხული აქტივის თანხების ანაზღაურებადობისა და ვალდებულებების კლასიფიკაციასთან დაკავშირებულ შესწორებებს, რაც ალბათ აუცილებელი იქნებოდა, თუ კომპანია ვერ შეძლებდა საქმიანობის გაგრძელებას, როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

კონცესიური მომსახურების შეთანხმებების სააღრიცხვო მიდგომა. ფასს-ში პირდაპირ არ არის მოცემული სახელმძღვანელო მითითებები უფლების გამცემის მიერ კონცესიური მომსახურების აქტივების აღრიცხვის შესახებ. უფლების გამცემის მიერ აღნიშნულის აღრიცხვის შესახებ პირდაპირი სახელმძღვანელო მითითებების არარსებობის გამო კომპანიამ გადაწყვიტა სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება „სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ (IPSASB) მიერ გამოცემული IPSAS 32-ში - კონცესიური მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი - მოცემული სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რაც თანმიმდევრულია ოპერატორის მიერ გამოყენებული IFRIC 12-ის - შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები - და არ ეწინააღმდეგება ფასს-ებს. IPSAS 32-ის შესაბამისად კომპანია ინფრასტრუქტურულ აქტივებს თავის ბალანსზე აღიარებს, გადავადებული შემოსავლის ნაშთთან ერთად.

ქეთევან ზედაიძე

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულების შეფასება. ოპერატორის მიერ კონცესიური მომსახურების აქტივის სახით შექმნილი ძირითადი საშუალებების აქტივი და/ან არსებული აქტივის გაუმჯობესება და მფლობელის მიერ მიწისა და შენობების კაპიტალში შენატანი თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, რასაც დამოუკიდებელი შემფასებელი განსაზღვრავს. საბაზრო მდგომარეობა იქნა გამოყენებული იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივების კოტირებული ფასები პირდაპირ ან ირიბად იყო ხელმისაწვდომი. როდესაც ძირითადი საშუალებების ერთეული სპეციალიზებულია და ძალიან იშვიათად იყიდება ღია ბაზარზე, სამეურნეო საქმიანობის შემადგენლობაში გაყიდვის გარდა, მაშინ ძირითადი საშუალებების რეალური ღირებულება ძირითადად განისაზღვრება ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების მეთოდის გამოყენებით, რადგან საქართველოში არ არსებობს მსგავსი ძირითადი საშუალებების აქტიური ბაზარი და რეალური ღირებულების განსაზღვრისთვის საბაზრო მდგომარეობის გამოყენებისათვის საჭირო მტკიცებულება ხელმისაწვდომი არ არის. ამ მეთოდით განისაზღვრება ძირითადი საშუალებების ხელახლა შექმნის ან ჩანაცვლების დანახარჯები, შესწორებული ფიზიკური, ფუნქციური ან ეკონომიკური ცვეთისა და მოძველების გასათვალისწინებლად. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების განსაზღვრასთან ერთად შემოსავლის მდგომარეობა იქნა გამოყენებული აღნიშნული ღირებულებების დასაბუთებულობის შესაფასებლად. ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება შემოსავლის მდგომარეობით განსაზღვრული ღირებულებებით შესწორდა იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსავლის მდგომარეობის საფუძველზე განსაზღვრული ღირებულება ნაკლები იყო ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასა და ცვეთაზე გავლენას ახდენს საბაზრო ღირებულებებთან, ჩანაცვლების ღირებულებასთან, ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულებასთან, სამომავლო წმინდა შემოსავლის შეფასებასთან, კაპიტალის შეწონილ ღირებულებასთან აქტივების მოსალოდნელ ეკონომიკურ გამოყენებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით გაკეთებული შეფასებები და დაშვებები. ამ დაშვებების ცვლილებამ შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულებაზე.

ძირითადი საშუალებების გაუფასურება. კომპანია თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტების და მესტიის და ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტების მფლობელია. ყოველი აეროპორტი განიხილება როგორც ინდივიდუალური ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული. ქუთაისის, მესტიისა და ამბროლაურის აეროპორტები წარმოადგენს წამგებიან აეროპორტებს, ამგვარად, ყოველწლიურად ამ აეროპორტების აქტივები, მიმდინარე მშენებლობის ჩათვლით, იტესტება გაუფასურებაზე და ძირითადი საშუალებების შესაბამისი მუხლების მეორადი ბაზრის არ არსებობის შემთხვევაში, აქტივების ღირებულება დაიყვანება სალიკვიდაციო ღირებულებამდე. აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების დადგენა ემყარება ხელმძღვანელობის შეფასებებს, მათ შორის აეროპორტების სამომავლო წარმადობის შეფასებას, აქტივებიდან ამონაგების გამომუშავების შესაძლებლობებს და აქტივების სამომავლო საბაზრო და სალიკვიდაციო ღირებულებების დაშვებებს. დადგენილი სალიკვიდაციო ღირებულება რომ ყოფილიყო 10%-ით განსხვავებული ხელმძღვანელობის დაშვებებისგან, 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გავლენა გაუფასურებაზე იქნებოდა 1,779 ათასი ლარი (2018: 1,826 ათასი ლარი).

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი, ძირითადად, გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორცაა, მაგალითად ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განივთებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადები შეაფასა აქტივების ამჟამინდელი ტექნიკური მდგომარეობის და იმ პერიოდის შესაბამისად, რომლის განმავლობაში მოსალოდნელია, რომ აქტივები სარგებელს გამოიმუშავებენ ჯგუფისათვის. გათვალისწინებულ იქნა შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და მოვლა-შენახვის პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობების ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

ქეთევან ჯიუჯუაძე

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. კომპანია ქმნის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს იმ დადგენილი ზარალის აღსარიცხად, რომელიც გამომდინარეობს ან მომხმარებლის უუნარობისგან, განახორციელოს მოთხოვნილი გადახდა ან მომწოდებლის უუნარობისგან, მიაწოდოს შეთანხმებული საქონელი ან მომსახურება. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა მის დაშვებებს აფუძნებს მიმდინარე საერთო ეკონომიკურ პირობებზე, მოთხოვნების ხანდაზმულობასა და გადახდილი ავანსების ნაშთებზე, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებაზე, მომხმარებლისა და მომწოდებლის კრედიტ უნარიანობაზე და გადახდის პირობების ცვლილებებზე. ცვლილებებმა ეკონომიკაში, ინდუსტრიასა და სპეციფიურ მომწოდებლისა და მომხმარებლის პირობებში შესაძლოა მოითხოვოს ფინანსურ ანგარიშგებებში აღრიცხული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის კორექტირებები.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელმა საკრედიტო ზარალმა შეადგინა შესაბამისად 1,757 ათასი ლარი და 1,865 ათასი ლარი.

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება

ფასს 16, „იჯარა“ (გამოცემულია 2016 წლის 13 იანვარს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). კომპანიამ სტანდარტის გამოყენება მისი სავალდებულო მიღების დღიდან, 2019 წლის 1 იანვრიდან გადაწყვიტა, მოდიფიცირებული რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით, შესადარისი ბალანსების გადაფასების გარეშე და სტანდარტით დაშვებული გარკვეული გამარტივების გამოყენებით. საკუთრების იჯარისთვის აქტივების გამოყენების უფლება ფასდება სტანდარტზე გადასვლისას, ისე, თითქოს ახალი წესები ყოველთვის გამოყენებული იყო. ყველა სხვა აქტივები გამოყენების უფლების შეფასდება იჯარის ვალდებულების თანხით, მისი მიღებისას (დაკორექტირებული ნებისმიერი წინასწარ გადახდილი ან დარიცხული დანახარჯებით).

ფასს 16-ის პირველად მიღებისას, კომპანიამ გამოიყენა შემდეგი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა (გამარტივებული მიდგომა), რომელიც დაშვებულია სტანდარტით:

- გონივრულად მსგავსი მახასიათებლების საიჯარო პორტფელის ერთჯერადი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება,
- დაყრდნობა მანამდე განხორციელებულ შეფასებებზე იმის შესახებ, იჯარები წამგებიანია თუ არა, როგორც გაუფასურების მიმოხილვის შესრულების ალტერნატივა-2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, წამგებიან ხელშეკრულებებს ადგილი არ ჰქონიათ,
- ოპერაციული იჯარის, რომელსაც დარჩენილი საიჯარო ვადა 12 თვეზე ნაკლები აქვს 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მოკლევადიან იჯარად აღრიცხვა,
- თავდაპირველი პირდაპირი ხარჯის გამოყენების უფლებით აქტივების შეფასებიდან გამოკლება თავდაპირველი გამოყენების თარიღით, და
- რეტროსპექტიული ხედვის გამოყენება იჯარის იმ ვადების განსაზღვრისას, სადაც ხელშეკრულება მოიცავს იჯარის გაგრძელებისა და შეწყვეტის შესაძლებლობას.

ვინაიდან ფასს 16-მა არსებითად წინა პლანზე წამოწია მეიჯარის სააღრიცხვო მოთხოვნები ბასს 17-ში, კომპანიამ არ აღიარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე კომპანიის, როგორც მეიჯარის საქმიანობასთან დაკავშირებით.

ბიკაბ ზეიოუჭიჩი

5. ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების მიღება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული შეცვლილი სტანდარტები კომპანიისთვის ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მათ არსებითი გავლენა არ ჰქონიათ კომპანიაზე:

- ფასიკ 23 - „განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით“ (გამოცემულია 2017 წლის 7 ივნისს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან)
- ავანსის მახასიათებლები უარყოფითი კომპენსაციით - ცვლილებები ფასს 9-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ცვლილებები ბასს 28 "გრძელვადიანი წილი მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში" (გამოცემულია 2017 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- ფასს-ების წლიური გაუმჯობესებების 2015-2017 წწ. ციკლი - ცვლილებები ფასს 3-ში, ფასს 11-ში, ბასს 12-სა და ბასს 23-ში (გამოცემულია 2017 წლის 12 დეკემბერს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ცვლილებები ბასს 19-ში „პროგრამის ცვლილება, შემცირება ან ანგარიშსწორება“ (გამოცემულია 2018 წლის 7 თებერვალს, ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას მანამდე არ გამოუყენებია, არის შემდეგი:

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ასსს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ბიზნესს ეხება. შემოსულობა ან ზარალი ნაწილობრივ აღიარდება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს არ წარმოადგენს, თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს. კომპანია არ მოელის, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ქეთევან ჭყუაშვილი

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ფასს 17- „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტირებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების წარდგენის კონცეპტუალურ საფუძვლებში (გამოცემულია 2018 წლის 29 მარტს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). გადასინჯული კონცეპტუალური საფუძვლები მოიცავს ახალ თავს შეფასების შესახებ; სახელმძღვანელო მითითებებს საქმიანობის ფინანსური შედეგების შესახებ; გაუმჯობესებულ განმარტებებსა და სახელმძღვანელო მითითებებს - განსაკუთრებით ვალდებულების განმარტება; ასევე მნიშვნელოვანი საკითხების ახსნას, როგორიცაა მაგალითად, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის, წინდახედულობისა და შეფასების განუსაზღვრელობის როლი. კომპანია არ მოელის, რომ ამ შესწორებას გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

საწარმოს განმარტება – ცვლილებები ფასს 3-ში (გამოცემულია 2018 წლის 22 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ცვლილებებში გადასინჯულია საწარმოს განმარტება. საწარმო შედგება რესურსებისა და პროცესებისაგან, რომლებსაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ პროდუქციის წარმოების შესაძლებლობაში. ახალ სახელმძღვანელო მითითებებში მოცემულია ჩარჩო იმის შესაფასებლად, როდის არსებობს რესურსები და არსებითი პროცესები, მათ შორის ადრეულ ეტაპზე მყოფი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც პროდუქციას არ წარმოქმნიან. როდესაც პროდუქცია არ იქმნება, საწარმოს სახით კლასიფიკაციისთვის საჭიროა ორგანიზებული სამუშაო ძალის არსებობა. „პროდუქციის“ განმარტება ისეთი ფართო აღარ არის და აქცენტი გაკეთებულია მომხმარებლებისთვის მიწოდებულ პროდუქციასა და გაწეულ მომსახურებაზე, რომელიც წარმოქმნის საინვესტიციო და სხვა შემოსავალს და არ შეიცავს დაბალი დანახარჯების ან სხვა ეკონომიკური სარგებლის სახით მიღებულ უკუგებას. აგრეთვე, საჭირო აღარ არის იმის შეფასება, ბაზრის მონაწილეებს შეუძლიათ თუ არა საჭირო ელემენტების ჩანაცვლება ან შეძენილი საქმიანობისა და აქტივების ინტეგრირება. საწარმოს შეუძლია „კონცენტრაციის ტესტის“ გამოყენება. შეძენილი აქტივები საწარმოს არ წარმოადგენენ, თუ ამ აქტივების ბრუტო რეალური ღირებულება არსებითად კონცენტრირებული არ არის ერთ აქტივში (ან მსგავსი აქტივების ჯგუფში). ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ჩიკან ჭეიშვილი

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

არსებობის განმარტება – ცვლილებები ბასს 1-სა და ბასს 8 (გამოცემულია 2018 წლის 31 ოქტომბერს, ძალაში შედის 2020 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ამ ცვლილებებით უფრო ნათლად არის ჩამოყალიბებული არსებობის განმარტება და ახსნილია, როგორ შეიძლება მისი გამოყენება, რაც ადრე ამ ფასს-ის ტექსტში იყო მოცემული ახლა კი განმარტებაშია ასახული. ამასთან, გაუმჯობესებულია განმარტების თანმხლები ახსნა. დასასრულ, ცვლილებებით უზრუნველყოფილია არსებობის განმარტების თანმიმდევრულობა ყველა ფასს-ში. ინფორმაცია არსებითია, თუ მისი გამოტოვების, უზუსტობის ან ბუნდოვნად წარდგენისას შეიძლება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელი იყოს იმ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენა, რომლებსაც საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მომხმარებლები იღებენ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე, სადაც ასახულია ფინანსური ინფორმაცია კონკრეტული საანგარიშგებო საწარმოს შესახებ. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმა-ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7-ში შეტანილი შესწორებები (გამოშვებული 2019 წლის 26 სექტემბერს და ძალაში შესული იმ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ). შესწორებები გამოწვეული იყო ისეთი საპროცენტო განაკვეთის ჩანაცვლებით, როგორიცაა LIBOR და სხვა შემოთავაზებული ბანკთაშორისი განაკვეთები („IBOR-ები“). ეს შესწორებები დროებით ათავისუფლებს ჰეჯირების სპეციფიური აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან ჰეჯირების იმ ურთიერთობებზე, რომლებზეც IBOR-ის რეფორმის შედეგებს უშუალო გავლენა ჰქონდა. ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვა ორივე, ფასს 9-ისა და ბასს 39 -ის მიხედვით, მოითხოვს, რომ სამომავლო ჰეჯირებული ფულადი ნაკადები იყოს “მაღალი ალბათობით მოსალოდნელი”. მაშინ, როდესაც ეს ფულადი ნაკადები დამოკიდებულია IBOR-ზე, შესწორებებით გამოწვეული გათავისუფლება საწარმოსგან მოითხოვს იმის დაშვებას, რომ ის საპროცენტო განაკვეთი, რომელზეც ეს ჰეჯირებული ფულადი ნაკადები დაფუძნებული, რეფორმის შედეგად არ შეიცვლება. ორივე, ბასს 39 და ფასს 9 მოითხოვს საპროგნოზო პერსპექტიულ შეფასებას იმისათვის, რომ გამოიყენოს ჰეჯირების აღრიცხვა. მაშინ, როდესაც ამჟამად IBOR-ის და IBOR-ის ჩანაცვლების განაკვეთების მიხედვით ფულადი ნაკადები მოსალოდნელია, რომ იქნება თანაბრად ეკვივალენტური, რასაც მინიმუმამდე დაყავს ნებისმიერი არაეფექტურობა, ამას, შესაძლოა აღარ ჰქონდეს მნიშვნელობა, რადგან რეფორმის თარიღი ახლოვდება. ამ შესწორებების მიხედვით, საწარმომ შეიძლება დაუშვას, რომ საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილი, რომელზეც ეფუძნება ჰეჯირებული მუხლის, ჰეჯირების ინსტრუმენტის ან ჰეჯირებული რისკის ფულადი ნაკადები არ შეცვლილა IBOR-ს რეფორმის შედეგად. IBOR-ის რეფორმას აგრეთვე შეუძლია გამოიწვიოს ის, რომ ჰეჯი გასცდეს 80-125%-იან ფარგლებს, რაც მოთხოვნილია ბასს 39-ით, რეტროსპექტიული შემოწმებისთვის. ბასს 39 შესაბამისად შესწორდა, რათა დაეშვა გამონაკლისი რეტროსპექტიული ეფექტურობის შემოწმებაში ისე, რომ ჰეჯი არ წყდება მხოლოდ IBOR-თან დაკავშირებული გაურკვევლობის პერიოდის განმავლობაში, იმიტომ, რომ რეტროსპექტიული ეფექტურობა სცდება ამ ფარგლებს. თუმცა, ჰეჯირების აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა მოთხოვნები, მათ შორის პერსპექტიული შეფასება, უნდა დაკმაყოფილდეს. გარკვეული რაოდენობის ჰეჯირებებში, ჰეჯირებული მუხლი ან ჰეჯირებული რისკი წარმოადგენს IBOR რისკის კომპონენტს, რომელიც არ არის ხელშეკრულებაში მითითებული. იმისათვის, რომ გამოყენებული იყოს ჰეჯირების აღრიცხვა, ორივე ფასს 9 და ბასს 39 მოითხოვს, რომ აღნიშნული რისკის კომპონენტი იდენტიფიცირებადი და სარწმუნოდ შეფასებადი იყოს საწყისი ჰეჯირების დანიშნულების და არა მიმდინარე საფუძველზე. მაკრო ჰეჯირების კონტექსტში, მაშინ, როდესაც საწარმო, ხშირად, ჰეჯირების ურთიერთობას აბრუნებს საწყის მდგომარეობაში, შედავათი გამოიყენება იმ დროიდან, როდესაც ჰეჯირებული მუხლი თავდაპირველად გამოიწვლილი იყო ამ ჰეჯირების ურთიერთობისთვის. ნებისმიერი ჰეჯირების არაეფექტურობის აღრიცხვა მოხდება მოგებასა და ზარალში ორივე, ბასს 39-ის და ფასს 9-ის მიხედვით.

ქეთევან ჯიფუაშვილი

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

აღნიშნული შესწორებები განაპირობებს იმას, თუ როდის დასრულდება შეღავათები, რაც მოიცავს გაურკვევლობას, რომელიც წარმოშობილია იმით, რომ ადგილი აღარ აქვს საპროცენტო განაკვეთის ათვლის წერტილის რეფორმას. შესწორებები საწარმოებისგან მოითხოვს ინვესტორებისთვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას ამ გაურკვევლობების შედეგად პირდაპირი გავლენის ქვეშ მყოფი ჰეჯირების ურთიერობების შესახებ, მათ შორისაა ჰეჯირების ინსტრუმენტების ნომინალური ოდენობა, რომელზე შეღავათების გამოიყენება, შეღავათების გამოყენებისას გაკეთებული ყველა მნიშვნელოვანი დაშვებები და განსჯა, იმის რაოდენობრივი განმარტებები, თუ როგორი გავლენა აქვთ საწარმოზე IBOR რეფორმას და თუ როგორ მართავს ის გადასვლის პროცესს. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია – შესწორებები ბასს 1-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის 2022 წლის 1 იანვრიდან). ეს ვიწრო მასშტაბის ვალდებულებები კლასიფიცირდება ან როგორც გრძელვადიანი, ან როგორც მოკლევადიანი, რაც დამოკიდებულია იმ უფლებებზე, რომლებიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის არის არსებული. ვალდებულებები გრძელვადიანია თუ საწარმოს, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გააჩნია იმის არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე 12 თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს, რომ ეს უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინი იმის შესახებ, რომ საწარმო შემდგომში გამოიყენებს ანგარიშსწორების გადავადებას არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში არსებობს, თუ საწარმო აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს საანგარიშო პერიოდის ბოლოს მდგომარეობით. ვალდებულება კლასიფიცირდება მოკლევადიანად თუ პირობა დარღვეულია საანგარიშო პერიოდის მსვლელობისას ან მანამდე, იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობაზე უარი გამსესხებლისგან არის მიღებული მხოლოდ საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. საპირისპიროდ, სესხი კლასიფიცირდება გრძელვადიანად თუ სესხის შეთანხმება ირღვევა მხოლოდ საანგარიშო თარიღის შემდეგ. დამატებით, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას იმ ვალისათვის, რომლის ანგარიშსწორებასაც კომპანია მისი კაპიტალში გადაანგარიშებით შეძლებს. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებით. არსებობს გამოწვევის იმ გადაანგარიშებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება გადაანგარიშებული იყოს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გადაანგარიშების შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი-როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე შემადგენელი კომპონენტი. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

შემოსულობები სავარაუდო მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები- ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის) ბასს 16-ის შესწორება უკრძალავს საწარმოს ძირითადი საშუალებების მუხლის ხარჯიდან საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.

ქეთევან ბერიძე

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმო, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა

ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა შეიჯაროს მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.

ფასს 1 იძლევა საშუალებათა უფლებას შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.

ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შედავით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შედავას დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მკვავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შედავით.

მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში ყოფნას. ამჟამად კომპანია ახორციელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ცვლილებების გავლენის შეფასებას.

ჩეთვან ჭეიშ-ჭაი

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები (გაგრძელება)

Covid-19-თან დაკავშირებული იჯარის კონცესიები – შესწორებები ფასს 16-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია 2020 წლის 1 ივნისს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

ამ შესწორებებმა მოიჯარეებს (და არა მეიჯარეებს) მისცა იმის შეფასებისგან არასავალდებულო განთავისუფლების ფორმით გამოხატული შეღავათით სარგებლობის საშუალება, COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის კონცესია წარმოადგენს თუ არა იჯარის მოდიფიკაციას. მოიჯარეს შეუძლია აირჩიოს ქირავნობის კონცესიის იგივენაირად აღრიცხვა, როგორც აღრიცხავდა მაშინ, თუ ის არ იქნებოდა იჯარის მოდიფიკაცია. ბევრ შემთხვევაში, ეს აისახება კონცესიის აღრიცხვაში, როგორც ცვლადი საიჯარო გადახდა. პრაქტიკული მიზანშეწონილობები მხოლოდ ისეთ ქირავნობის კონცესიებზე გამოიყენება, რომელიც COVID-19-ის პანდემიის პირდაპირ შედეგად დადგა და მხოლოდ მაშინ, თუ ყველა ჩამოთვლილი პირობა დაკმაყოფილებულია: საიჯარო გადასახადების ცვლილება იწვევს იჯარის საზღაურის გადახედვას, რაც არსებითად იგივეა ან ნაკლები იმ იჯარის საზღაურზე, რაც უშუალოდ ცვლილებამდე იყო. საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ გადახდებზე, რომლებიც უნდა შესრულებულიყო 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე. და არ არსებობს იჯარის სხვა ვადებისა და პირობების სხვა არსებითი ცვლილება. თუ მოიჯარე არჩევს იჯარისთვის პრაქტიკული მიზანშეწონილობის გამოყენებას, მას მოუწევდა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თანმიმდევრულად იმ ყველა საიჯარო ხელშეკრულებაზე გამოყენება, რომელსაც გააჩნია მსგავსი მახასიათებლები და მსგავსი გარემოებები. შესწორება უნდა იქნეს გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8-სთან შესაბამისობაში, თუმცა მოიჯარეებს არ მოეთხოვებათ წინა პერიოდების ციფრების გადაანგარიშება ან ბასს 8-ს 28(f) ქვეპუნქტის მიხედვით გამჟღავნების უზრუნველყოფა. კომპანია ამჟამად აფასებს ამ შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

თუ ზემოთ სხვაგვარად არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბიკაშ ჭყეშელაშვილი

7. მირითადი საშუალებები

მირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისათვის შემდეგია:

	აქტივები, რომელთა ღირებულებას კომპანია ახორციელებს					პატივები, რომელთა ღირებულებას კონცესიის ოპერატორი ახორციელებს				
	მიწა	შენიშნული მოწყობილობები	მანქანები და ავტომანქანები	დაუმთავრებელი მშენებლობები	სულ	მიწა	შენიშნული მოწყობილობები	მანქანები და ავტომანქანები	დაუმთავრებელი მშენებლობები	სულ
ათასი ლარი										
ღირებულება 2018 წლის 1 იანვარს	54,841	9,361	8,230	6,839	28,069	114,857	212,808	1,211	220	329,096
დამატებები	4	40	1,143	1,666	22,126	-	-	-	-	24,979
გადაღებები	-	308	-	-	(308)	-	-	-	-	-
გასვლები	(187)	(14)	(8)	(22)	(231)	-	-	-	-	(231)
2018 წლის 31 დეკემბრის	54,658	9,695	9,365	8,483	49,887	114,857	212,808	1,211	220	329,096
დამატებები	-	28	230	382	19,077	-	-	-	-	19,717
გასვლები	(170)	(32)	-	(24)	(226)	(195)	-	-	-	(195)
2019 წლის 31 დეკემბრის	54,488	9,691	9,595	8,841	68,964	114,662	212,808	1,211	220	328,901
ცვლილება და გაუფასურება 2018 წლის 1 იანვარს	-	(1,800)	(4,786)	(2,423)	(27,705)	-	(21,571)	(399)	(132)	(58,816)
ცვლილების ხარჯი	-	(424)	(866)	(1,178)	-	-	(9,758)	(150)	(44)	(12,420)
გასვლა	-	3	1	18	22	-	-	-	-	22
გაუფასურების ხარჯი	-	-	(887)	-	(17,370)	-	-	-	-	(18,257)
2018 წლის 31 დეკემბრის	-	(2,221)	(6,538)	(3,583)	(45,075)	-	(31,329)	(549)	(176)	(89,471)
ცვლილების ხარჯი	-	(416)	(818)	(847)	-	-	(8,986)	(149)	(10)	(11,226)
გასვლა	-	18	-	10	28	-	-	-	-	28
გაუფასურების ხარჯი	-	(21)	(149)	-	(12,759)	-	-	-	-	(12,929)
2019 წლის 31 დეკემბრის	-	(2,640)	(7,505)	(4,420)	(57,834)	-	(40,315)	(698)	(186)	(113,598)
საბალანსო ღირებულება										
2018 წლის 31 დეკემბრის	54,658	7,474	2,827	4,900	4,812	114,857	181,479	662	44	297,042
2019 წლის 31 დეკემბრის	54,488	7,051	2,090	4,421	11,130	114,662	172,493	513	34	287,702

დაუმთავრებელი მშენებლობა და სხვა* - დასამონტაჟებელი მოწყობილობები და დაუმთავრებელი მშენებლობა

8. სხვა გრძელვადიანი აქტივები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები არასავაჭრო მომსახურებებიდან შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით	5,370 (117)	3,089 (67)
გრძელვადიანი მოთხოვნები, ნეტო	5,253	3,022
ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსების გაუფასურება	6,175 (4,861)	767 -
სულ სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები, ნეტო	6,567	3,789

გრძელვადიანი მოთხოვნები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენს არა-ვადაგადაცილებულ ნაშთებს და გადანაწილება მეორე დონეზე. 2019 წლის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დარიცხვამ 50 ათასი ლარი შეადგინა.

გაუფასურების დარიცხვა დაკავშირებულია ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის ხარჯებთან.

ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსების ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
საბალანსო ღირებულება 1 იანვარს	767	6,908
დამატებები	6,175	274
გადახდილი ავანსები, რომლებსაც აღიარება შეუწყდათ დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას, ან გადაცემულია დაუმთავრებელ მშენებლობაში. გადახდილი ავანსების გაუფასურება	(767) (4,861)	(6,415) -
სულ ძირითადი საშუალებებისთვის გადახდილი ავანსები 31 დეკემბერს, ნეტო	1,314	767

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნები იყო შემდეგი:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	9,538	7,060
შემცირებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი/სავაჭრო მოთხოვნებისთვის გაუფასურების ზარალის ანარიცხით	(1,640)	(1,798)
სულ ფინანსური აქტივები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	7,898	5,262
სხვა მოთხოვნები	3	20
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7,901	5,282

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებები შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
გაუფასურების ანარიცხი 1 იანვარს	1,798	467
მოსალოდნელი ზარალი სავაჭრო მოთხოვნებისთვის გაუფასურების ანარიცხის ანაზღაურება წლის განმავლობაში	36 (194)	1,366 (35)
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს	1,640	1,798

მოკლევადიანი და გრძელვადიანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი შემდეგია:

2019 წლის 31 დეკემბერი

ათასი ლარი	არა- ვადაგადაცი ლებული	1-30 დღე	31-90 დღე	91-180 დღე	181- 360	360< დღეზე მეტი	სულ
სულ, ნაგულისხმევი დადგენილი მთლიანი საბალანსო ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	11,408 (132)	423 (3)	495 (1)	919 (28)	327 (265)	1,336 (1,328)	14,908 (1,757)

2018 წლის 31 დეკემბერი

ათასი ლარი	არა- ვადაგადაცი ლებული	1-30 დღე	31-90 დღე	91-180 დღე	181- 360	360< დღეზე მეტი	სულ
სულ, ნაგულისხმევი დადგენილი მთლიანი საბალანსო ღირებულება სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	7,445 (441)	212 (16)	822 (329)	745 (501)	291 (177)	634 (401)	10,149 (1,865)

ქეთევან ტყეშელაშვილი

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვაწვდის საკრედიტო რისკის რეიტინგის დონის განმარტებებს:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი		სულ
	მე-2 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	მე-3 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის – კრედიტ- გაუფასურებული	
არა-ვადაგადაცილებული	132	-	132
0-30 დღემდე ვადაგადაცილება	3	-	3
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	1	-	1
90-180 დღემდე ვადაგადაცილება	28	-	28
180-360 დღემდე ვადაგადაცილება	9	256	265
360> დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	1,328	1,328
სულ	173	1,584	1,757

ათასი ლარი	2018 წლის 31 დეკემბერი		სულ
	მე-2 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადა- არა კრედიტ- გაუფასურებული	მე-3 ეტაპი სასარგებლო მომსახურების ვადის – კრედიტ- გაუფასურებული	
არა-ვადაგადაცილებული	98	343	441
0-30 დღემდე ვადაგადაცილება	7	9	16
30-90 დღემდე ვადაგადაცილება	45	284	329
90-180 დღემდე ვადაგადაცილება	203	298	501
180-360 დღემდე ვადაგადაცილება	39	138	177
360> დღეზე მეტი ვადაგადაცილება	320	81	401
სულ	712	1,153	1,865

ჩუბუკა ჭეიშვილი

შპს საქართველოს აეროპორტების გაერთიანება
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფული სალაროში	1	1
მიმდინარე საბანკო ანგარიშები და მოთხოვნამდე დეპოზიტები	59,595	54,606
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	54,607

არცერთი საბანკო ნაშთი არ არის ვადაგადაცილებული. ზარალის ანარიცხი არ არის აღიარებული საბანკო ნაშთებისთვის მათი მოკლევადიანი ბუნების გამო. საბანკო ნაშთები მოიცავს ანგარიშებს და მოთხოვნამდე დეპოზიტებს საქართველოს ბანკებში და გამოყენებულია კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის მიზნებისთვის.

11. გადავადებული შემოსავალი

შემოსავალი აღიარებულია და ვალდებულება შემცირებული წრფივი მეთოდის საფუძველზე, რადგან წდგომა მომსახურების კონცესიის აქტივზე ოპერატორისთვის უზრუნველყოფილია მომსახურების კონცესიის შეთანხმების ვადის განმავლობაში.

ათასი ლარი	2019	2018
გადავადებული შემოსავალი 1 იანვარს	139,305	156,582
გადავადებული შემოსავლის გაზრდა	-	-
გადავადებული შემოსავლის ამორტიზაცია	(17,277)	(17,277)
გადავადებული შემოსავალი 31 დეკემბერს	122,028	139,305

12. ვალდებულებები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანიამ მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან შემდეგი ვალდებულებები აღიარა:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სახელშეკრულებო ვალდებულებები - მომხმარებლებისგან მიღებული გადახდილი ავანსები	1,685	2,213
სულ მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებები	1,685	2,213

2,035 ათასი ლარი ოდენობის ამონაგები, რომელიც დაკავშირებულია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ სახელშეკრულებო ვალდებულებებთან აღიარდა მიმდინარე საანგარიშო პერიოდში (2018: 2,029 ათასი ლარი).

ხელმძღვანელობა მოელოს, რომ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ შეუსრულებელ ხელშეკრულებებზე გადანაწილებული გარიგების ფასის 91% (1,529 ათასი ლარი) აღიარებული იქნება შემდგომ საანგარიშო პერიოდში. დარჩენილი 9% (156 ათასი ლარი) აღიარდება 2021 წელს.

ქეთევან ჭყავიშვილი

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	8,287	4,477
შეძენილი ძირითადი საშუალებების ვალდებულებები	1,685	144
სულ ფინანსური ვალდებულებები	9,972	4,621
მიღებული ავანსები და მომხმარებლების დეპოზიტები	502	217
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,474	4,838

14. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური ვალდებულებები - MDF (საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი)	12,212	-
გადავადებული შემოსავალი - MDF	1,788	-
სულ სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	14,000	-

2019 წლის 26 დეკემბერს, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 ნოემბრის #2477 განკარგულების საფუძველზე („განკარგულება“), კომპანიამ მიიღო საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) დაფინანსების 40 მილიონი ლარიდან 14 მილიონი ლარი ქუთაისის სამგზავრო ტერმინალის გაფართოების პროექტის მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებისთვის. ეს დაფინანსება უპროცენტოა, რომელიც უნდა დაიფაროს არაუგვიანეს 2021 წლის თებერვლისა. საქართველოს მთავრობამ ვალდებულება აიღო კომპანიის საწესდებო კაპიტალში 40 მილიონი ლარის შეტანაზე, რათა კომპანიამ შეძლოს MDF-ისგან მიღებული თანხების დაბრუნება. 1,788 ათასი ლარის რეალური ღირებულების შემოსულობა ამ დაფინანსებაზე ჩაითვალია აქტივთან დაკავშირებულ სახელმწიფო გრანტად და აღიარდა როგორც გადავადებული შემოსავალი.

6,892 ათასი ლარის ოდენობის შემდგომი დაფინანსება MDF-ისგან მიღებულია 2020 წლის ივნისში (შენიშვნა 23).

ქეთევან ზეიწყაშვილი

15. ამონაგები

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული ამონაგები შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
საავიაციო ამონაგები		
თბილისი	25,045	27,419
ქუთაისი	5,762	3,636
ბათუმი	3,809	3,164
მესტია	68	53
ამბროლაური	19	16
სულ საავიაციო ამონაგები	34,703	34,288
არასაავიაციო ამონაგები		
თბილისი	11,959	9,094
ქუთაისი	440	259
ბათუმი	1,635	1,521
სულ არა-საავიაციო ამონაგები	14,034	10,874
სულ ამონაგები გაცემული საკონცესიო უფლებებიდან (შენიშვნა 11)	17,277	17,277
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	66,014	62,440
იჯარიდან შემოსავალი		
თბილისი	296	370
ქუთაისი	1,684	1,346
ამბროლაური	3	4
სულ იჯარიდან შემოსავალი	1,983	1,720
სულ ამონაგები	67,997	64,159

სულ, იჯარის შემოსავალი მოიცავს ცვლადი ნაწილის 1,368 ათას ლარს.

მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგების აღიარების დრო შემდეგია:

ათასი ლარი	2019	2018
დროის გარკვეულ მომენტში	34,752	34,308
დროის განმავლობაში	31,262	28,132
სულ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	66,014	62,440

ქეთევან ჭყეშელაშვილი

16. სხვა შემოსავალი

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში კომპანიის სხვა შემოსავალი შედგება შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
შემოსავალი ჯარიმებიდან	113	574
შემოსავალი მარაგების გაყიდვიდან	108	226
საკომისიო შემოსავალი	226	137
სხვა არა-საოპერაციო შემოსავალი	197	355
სულ სხვა შემოსავალი	644	1,292

17. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები

მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების ხარჯები მოიცავს ავიაკომპანიებისთვის გადახდილ წამახალისებელ თანხებს, რომლებიც კომპანიის მიერ გათვალისწინებულია სხვადასხვა არა ექსკლუზიურ წამახალისებელ პაკეტებში, ორიენტირებულია მიმართულებების, სიხშირის ან/და მგზავრთა ნაკადის ზრდაზე ქუთაისისა და თბილისის საერთაშორისო აეროპორტებში. მიმართულებების მარკეტინგისა და განვითარების აქტივობებისთვის კომპანია იხდის თანხას ყოველთვიურად, ავიაკომპანიის წარმადობის საფუძველზე (მაგ. ახალი მიმართულებები, მგზავრები დროის პერიოდში, სიხშირე დროის პერიოდში, და ა.შ.), რომელიც არსებითად არის დაკავშირებული წამახალისებელი პაკეტის მოთხოვნებთან.

18. სხვა საოპერაციო ხარჯები

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლების განმავლობაში, კომპანიის საოპერაციო ხარჯები შედგებოდა შემდეგისგან:

ათასი ლარი	2019	2018
გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა	4,192	4,226
რემონტი და მოვლა-შენახვა	726	362
კომუნალური ხარჯები	489	476
მივლინებები	489	377
დაზღვევა	413	370
დასუფთავების მომსახურება	409	184
საწვავ-საცხები მასალები	360	519
საინფორმაციო ტექნოლოგიების ხარჯები	316	155
საკონსულტაციო ხარჯები*	265	334
მარკეტინგის ხარჯები	245	997
საკომუნიკაციო ხარჯები	104	81
ძირითადი საშუალებების მუხლების გასვლის ზარალი	86	-
წარმომადგენლობითი ხარჯები	31	524
სხვა ხარჯები	1,159	1,230
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	9,284	9,835

საკონსულტაციო ხარჯები მოიცავს 115 ათასი ლარის ოდენობის საფასურს, რომელიც დარიცხულია აუდიტისა და სხვა პროფესიონალური მომსახურებისთვის, რომელიც გაწეულია აუდიტორის/აუდიტის ფირმის მიერ, როგორც ეს განსაზღვრულია საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

ქეთევან ზეიბაძე

19. ფინანსური რისკის მართვა

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ საქონლის კრედიტით გაყიდვით და პარტნიორებთან სხვა ოპერაციებით, რაც ფინანსურ აქტივებს წარმოქმნის.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		
- სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	5,253	3,022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
- სავაჭრო მოთხოვნები	7,898	5,262
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	54,607
სულ საბალანსო რისკი	72,747	62,891
მაქსიმალური საკრედიტო რისკი	72,747	62,891

კომპანია საკრედიტო რისკის დონეებს ადგენს კონტრაპენტებთან ან კონტრაპენტთა ჯგუფებთან მიმართებით რისკის ზღვრების განსაზღვრით. საკრედიტო რისკის ზღვრებს პერიოდულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. მსგავსი რისკების მონიტორინგი პერიოდულად ხორციელდება და წლიურად ან უფრო ხშირად გადაისინჯება. კომპანიის ხელმძღვანელობა განიხილავს ვადაგადაცილებული სავაჭრო დებიტორული დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს. შესაბამისად ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ შესაფერისია რომ წარმოადგინოს საკრედიტო რისკის შესახებ ხანდაზმულობისა და სხვა ინფორმაციის ასახვა. გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში.

საბაზრო რისკი კომპანიას გააჩნია საბაზრო რისკები. საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან (ა) უცხოურ ვალუტასთან, (ბ) აქტივებსა და ვალდებულებებთან, რომელთაც პროცენტი ერიცხებათ (რომელთაგან ყველას აქვს საბაზრო ცვლილებების საერთო და სპეციფიკური რისკები), მიმართებით. ხელმძღვანელობა ადგენს მისაღები რისკის ზღვრებს, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა, უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკებისადმი მგრძნობელობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი ის რისკია, როდესაც კომპანიის ფინანსური შედეგები ექვევა უცხოურის ვალუტის გაცვლის კურსებში ცვლილებებისგან გამოწვეული უარყოფითი გავლენის ქვეშ. კომპანია ახორციელებს გარკვეულ გარიგებებს უცხოურ ვალუტაში. კომპანია არ იყენებს ცვლადებს სავალუტო რისკის სამართავად.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

თიანე ზეიდაშვილი

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი			2018 წლის 31 დეკემბერი		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა საბალანსო პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა საბალანსო პოზიცია
ქართული ლარი	50,648	(15,245)	35,403	47,002	(1,944)	45,058
აშშ დოლარი	11,555	(85)	11,470	6,744	(289)	6,455
ევრო	10,544	(7,503)	3,041	9,145	(2,803)	6,342
სულ	72,747	(22,833)	49,914	62,891	(5,036)	57,855

ზემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულადი აქტივები ითვლება, რომ არ წარმოქმნის რაიმე არსებით სავალუტო რისკს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის მგრძნობელობა გაცვლითი კურსებისადმი სამუშაო ვალუტის 20%-ით გამყარება/გაუფასურებასთან მიმართებაში 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ანალიზი ჩაუტარდა მონეტარულ მუხლებს საანგარიშო თარიღისთვის, დენომინირებულს შესაბამის ვალუტებში:

ათასი ლარი	2019	2018
აშშ დოლარის გამყარება 10% -ით	12,617	7,101
აშშ დოლარის გაუფასურება 10% -ით	(12,617)	(7,101)
ევროს გამყარება 10% -ით	3,345	6,976
ევროს გაუფასურება 10% -ით	(3,345)	(6,976)

რისკი გამოთვლილ იქნა კომპანიის სამუშაო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში გამოსახული მონეტარული აქტივებისათვის.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. კომპანიას აქვს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებული დონეების მერყეობის გავლენის რისკი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია საპროცენტო განაკვეთის რისკები. ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აგრეგირებული თანხები, საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის ხელახლა დადგენისა და დაფარვის თარიღებს შორის ადრინდელი ვადით.

ქეთევან ჭყეშელაშვილი

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ათასი ლარი	მოთხოვნა დე და 1 თვეზე ნაკლები	1-6 თვე	6-12 თვე	1 წელზე მეტი	5 წელზე მეტი	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	65,727	1,153	614	5,253		72,747
სულ ფინანსური ვალდებულებები	(10,154)	(8)	(311)	(12,360)	-	(22,833)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო მგრძნობელობა 2019 წლის 31 დეკემბერს	55,573	1,145	303	(7,107)	-	49,914
2018 წლის 31 დეკემბერი						
სულ ფინანსური აქტივები	59,641	389	-	2,861		62,891
სულ ფინანსური ვალდებულებები	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)
საპროცენტო განაკვეთისადმი ნეტო მგრძნობელობა 2018 წლის 31 დეკემბერს	54,906	324	(38)	2,663	-	57,855

ლიკვიდობის რისკი ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას პრობლემები ექნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებაში. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების ყოველთვიური გარდამავალი პროგნოზის მონიტორინგს. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის, რომელიც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა დავალიანებებს, შენარჩუნებას.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბერს და 2018 წლის 31 დეკემბერს, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, ფინანსური იჯარის მთლიანი ვალდებულებების ჩათვლით (სამომავლო ფინანსური დანახარჯების გამოქვითვამდე). მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

როდესაც გადასახდელი თანხის ოდენობა არ არის ფიქსირებული, გამჟღავნებული თანხა განისაზღვრება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით. უცხოურ ვალუტაში გადახდები გადაანგარიშდება ოფიციალური გაცვლითი კურსით, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ქეთევან ჭყეიშვილი

19. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა დავალიანება						
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(10,154)	(8)	(311)	(148)	-	(10,621)
MDF-ისგან მიღებული დაფინანსება				(14,000)		(14,000)
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და პროცენტის გადახდები	(10,154)	(8)	(311)	(14,148)	-	(24,621)

ფინანსური ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბერს:

ათასი ლარი	მოთხოვნა 1 თვემდე ვადაში	1-3 თვე	3-12 თვე	12 თვიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა დავალიანება						
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)
სულ სამომავლო გადახდები, მათ შორის ძირითადი და პროცენტის გადახდები	(4,735)	(65)	(38)	(198)	-	(5,036)

20. რეალური ღირებულების შეფასება

რეალური ღირებულების შეფასებების ანალიზი რეალური ღირებულების იერარქიაში შემდეგნაირად ხორციელდება: (i) პირველი დონე არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია).

ხელმძღვანელობა ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების იერარქიის მეშვეობით დაჯგუფებისათვის იყენებს განსჯას. თუ რეალური ღირებულების შეფასებისას გამოიყენება დაკვირვებადი მონაცემები, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან შესწორებას, მაშინ ეს შეფასება არის მე-3 დონის შეფასება. შეფასების მონაცემის მნიშვნელობა ფასდება მთლიანობაში რეალური ღირებულების შეფასების საპირისპიროდ.

ქეთევან ზეიწყაძე

20. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მაგრამ მათი რეალური ღირებულება გამუდმებულია. რეალური ღირებულების იერარქიის მიხედვით გაანალიზებული რეალური ღირებულებები და იმ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რომლებიც რეალური ღირებულებით შეფასებული არ არის, მოცემულია ქვემოთ:

ათასი ლარი	2019 წ. 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	59,596	-	-	59,596
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	7,898	-	7,898
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	5,253	-	5,253
სულ აქტივები	59,596	13,151	-	72,747
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებები	-	9,972	-	9,972
- სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	147	-	147
- ფინანსური ვალდებულებები - MDF	-	12,212	-	12,212
სულ ვალდებულებები	-	22,331	-	22,331

ათასი ლარი	2018 წ. 31 დეკემბერი			საბალანსო ღირებულება
	1-ლი დონე	მე-2 დონე	მე-3 დონე	
აქტივები				
ფინანსური აქტივები				
- ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,607	-	-	54,607
- სავაჭრო და სხვა ფინანსური მოთხოვნები	-	5,262	-	5,262
- სხვა გრძელვადიანი აქტივები	-	3,022	-	3,022
სულ აქტივები	54,607	8,284	-	62,891
ვალდებულებები				
სხვა ფინანსური ვალდებულებები				
- სავაჭრო და სხვა ფინანსური დავალიანებები	-	4,621	-	4,621
- სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	198	-	198
სულ ვალდებულებები	-	4,819	-	4,819

ჩეთვან ზეიწყაძე

20. რეალური ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

რეალური ღირებულების იერარქიაში მე-2 და მე-3 დონის რეალური ღირებულებები შეფასებული იქნა დისკონტირებული ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდით. შეფასდა, რომ ცვალებადგანაკვეთიანი ინსტრუმენტების, რომლებიც აქტიურ ბაზარზე კოტირებული არ არის, რეალური ღირებულება მათი საბალანსო ღირებულების ტოლია. არაკოტირებული ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების რეალური ღირებულება შეფასებულ იქნა სამომავლო ფულადი ნაკადების, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებით მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული რეალური ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებულს მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით ახალი ინსტრუმენტებისთვის, რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა აქვთ. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთები დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ვალდებულებები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების, გაცხადებული დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტები შეფასებული იქნა მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით დისკონტირებული მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, მსგავსი საკრედიტო რისკებისა და დარჩენილი დაფარვის ვადების მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის.

ჩიკვაძე ზურაბიშვილი

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

საზოგადოდ, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევიან, თუ ეს მხარეები საერთო კონტროლს ექვემდებარებიან ან ერთ მხარეს შეუძლია მეორე მხარის კონტროლი ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ან ისინი ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ სხვა მხარის ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარეთა ურთიერთობის განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ურთიერთკავშირის შინაარსზე და არა მხოლოდ ფორმაზე.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ დაკავშირებულ მხარეებთან დასაფარი ნაშთები:

ათასი ლარი	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	335	364
სავაჭრო და სხვა დავალიანება	(958)	(946)
დაფინანსება MDF-სგან (შენიშვნა 14)	(12,212)	-

სავაჭრო დავალიანებები უპროცენტოა.

საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლებისა და ხარჯების მუხლები:

ათასი ლარი	2019	2018
არასავაჭრო და სავაჭრო მომსახურებებთან დაკავშირებული შემოსავალი	404	354
სახელმწიფო სუბსიდიები ადგილობრივი ფრენებისთვის	5,791	5,033
უსაფრთხოების ხარჯები	(9,588)	(9,588)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(284)	(244)

დაკავშირებულ მხარეებთან მიმართებით სხვა უფლებები და ვალდებულებები არ არსებობს.

მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება. მთავარი ხელმძღვანელი პირია კომპანიის დირექტორი. ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მთავარი ხელმძღვანელი პირის ანაზღაურების შესახებ:

ათასი ლარი	2019	2018
მოკლევადიანი გასამრჯელოები:		
- ხელფასები	99	101
- მოკლევადიანი ბონუსები	8	8
სულ მთავარი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	107	109

მოკლევადიანი ბონუსები გადაიხდება თორმეტ თვეში, იმ პერიოდის შემდეგ, როდესაც ხელმძღვანელობამ გასწია დაკავშირებული მომსახურება.

მთავარი ხელმძღვანელი პირების წინაშე რაიმე ვალდებულება ან პირობითი ვალდებულება არ არსებობს.

ჩიუკან ზეიწყაი

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

ვალდებულებები – კომპანიას არ გააჩნდა არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სამართალწარმოება. 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო ჩართული რაიმე სახის მნიშვნელოვან სამართალწარმოების პროცესში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ ექნება ადგილი არსებით დაურიცხავ ზარალს და შესაბამისად, ანარიცხი გაკეთებული არ არის წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განაცხადები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთსაწინააღმდეგოა და მრავალგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. გადასახადები სხვადასხვა ორგანოების მიერ განხილვას და გამოძიებას ექვემდებარება, რომლებსაც აქვთ მკაცრი ჯარიმების და საპროცენტო ხარჯების დაწესების ძალაუფლება. საგადასახადო წელი დიახ საგადასახადო ორგანოების მიერ შესამოწმებლად სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლებელია აღნიშნული პერიოდი გაიზარდოს. ამ გარემოებამ შესაძლოა საქართველოში შექმნას საგადასახადო რისკები, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ადეკვატურად შეასრულა ნაკისრი საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განაცხადებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისი ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლებელია განსხვავდებოდეს და ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ეფექტი იქონიოს, თუკი აღნიშნულმა უწყებებმა წარმატებით განახორციელეს საკუთარი ინტერპრეტაციები.

საოპერაციო გარემო. ისეთი განვითარებადი ბაზარი, როგორიც საქართველოს აქვს, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს მეტად, ვიდრე უფრო განვითარებული ბაზრები; ეს მოიცავს ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს. კანონები და რეგულაციები, რომლებსაც საქართველოში ბიზნესებზე აქვს გავლენა, აგრძელებს სწრაფად განვითარებას, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციებს. საქართველოს სამომავლო ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდი გავლენა აქვს მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას, საკანონმდებლო, მარეგულირებელი და პოლიტიკური გარემოს განვითარებასთან ერთად.

ბოლო ორი წლის განმავლობაში საქართველომ განიცადა მრავალი საკანონმდებლო ცვლილება, რაც მეტწილად უკავშირდება საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გეგმას. მიუხედავად იმისა, რომ 2018 და 2019 წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა გზა გახსნა, უფრო მეტი შეიძლება იყოს მოსალოდნელი, რადგან ევროკავშირში გაწევრიანების მისაღწევად საქართველოს სამოქმედო გეგმა განაგრძობს განვითარებას.

გარემოს დაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირება ჩამოყალიბების ეტაპზეა, შესაბამისად მთავრობის უფლებამოსილება აღსრულებაზე მუდმივ გადასინჯვას ექვემდებარება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. P პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოზე ზიანის მიყენებისათვის არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

ქეთევან ზეიწყაშვილი

22. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი იურიდიული ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები წარმოიქმნება ფრენების და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ყველა სამგზავრო ფრენა შეჩერებულია, კომპანიის ამონაგების გენერირება უმეტესადწილად შეჩერებულია, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები ფრენებზე. კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. კომპანია მოელის მგზავრების 30% ფრენების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და მგზავრების 50% შემდგომი სამი თვის განმავლობაში. თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენის მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

2020 წლის ივნისში კომპანიამ MDF-სგან დამატებით 6,892 ათასი ლარის ოდენობის დაფინანსება მიიღო (შენიშვნა 14).

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ ადგილი არ ჰქონია სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, რომელიც წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში დაკორექტირებას ან განმარტებას მოითხოვდა.

ქეთევან ზეიწყაშვილი

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“

გმართველობის ანგარიშგება

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

I. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ (შემდეგში - „UAG“ / „კომპანია“) წარმოადგენს სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოს, რომელიც სახელმწიფოს მიერ დელეგირების საფუძველზე ახორციელებს საქართველოში არსებული, ადგილობრივი და საერთაშორისო, სამოქალაქო აეროპორტების მართვას. „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“ სახელმწიფოს მიერ დაფუძნდა 2010 წლის 1 ნოემბერს. მისი შექმნის მისია იყო საქართველოში სხვადასხვა სახით და ფორმით არსებული სამოქალაქო აეროპორტების გაერთიანება ერთიანი „ქოლგის“ ქვეშ, მათი ჰარმონიულად და სისტემურად განვითარების უზრუნველსაყოფად.

კომპანია აერთიანებს 3 საერთაშორისო და 2 ადგილობრივ სამოქალაქო აეროპორტს, კერძოდ:

- შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი;
- ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი;
- დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი;
- თამარ მეფის სახელობის მესტიის ადგილობრივი აეროპორტი;
- ამბროლაურის ადგილობრივი აეროპორტი;

ასევე, UAG-ს საკუთრებაშია ზუგდიდისა და ფოთის ყოფილი აეროპორტების მიწის ნაკვეთები და ინფრასტრუქტურა, თუმცა ეს აეროპორტები ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებს.

2011 წლის 19 აპრილს, UAG შეერწყა თბილისის საერთაშორის აეროპორტის მფლობელ კომპანიას - სს „თბილისის საერთაშორისო აეროპორტი“, რომელიც ასევე 100% სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული კომპანია იყო და UAG გახდა ამ კომპანიის სამართალმემკვიდრე.

რაც შეეხება სხვა აეროპორტებს, იმავე პერიოდიდან დაიწყო და ეტაპობრივად ხდებოდა სხვადასხვა აეროპორტების აქტივების შემოტანა UAG-ის კაპიტალში სახელმწიფოს მიერ. აღნიშნული ხორციელდებოდა მხოლოდ ქონების შემოტანის სახით და UAG-ის არ ჰქონია რაიმე უფლებამონაცვლეობითი სახის სამართლებრივი ურთიერთობა სხვა აეროპორტების მფლობელ სახელმწიფო კომპანიებთან, რომლებიც მანამდე არსებობდნენ.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები შემდეგია:

- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებზე ზედამხედველობა;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფა, უშუალოდ ან კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში ავიაკომპანიებისათვის სააეროპორტო მომსახურების გაწევის უზრუნველყოფა, უშუალოდ ან კონტრაქტორი კომპანიის მეშვეობით;

გიორგი ჯიქიაშვილი

- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების დაპროექტების, მშენებლობის, მოდერნიზებისა და განვითარების უზრუნველყოფა;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებში არსებული ადამიანური ან ტექნიკური რესურსების მართვა და ოპტიმიზაცია;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტებისთვის ერთიანი სახელმძღვანელო დოკუმენტაციის შექმნა სააეროპორტო მომსახურებისა და მოსაკრებლების შესახებ;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების ქონების მართვა, პარტნიორთან და სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებით;
- სამოქალაქო აეროპორტებში მოქმედი საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების (ICAO, IATA და ა.შ.) დანერგვა და შენარჩუნება;
- საქართველოს სამოქალაქო აეროპორტების განვითარების სამოქმედო გეგმების შემუშავება.

კომპანიის მმართველობითი ორგანოები

კომპანიის მმართველობით ორგანოებს წარმოადგენს:

- პარტნიორი;
- სამეთვალყურეო საბჭო;
- დირექტორი.

პარტნიორი

კომპანიაში პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“. სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ამტკიცებს UAG-ის წლიურ ბიზნეს-გეგმას, განიხილავს ბიზნეს-გეგმის შესრულების ანგარიშებს, ამტკიცებს გადაწყვეტილებებს UAG-ის კუთვნილებაში არსებული მსხვილი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით და ახორციელებს კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა საქმიანობას.

სამეთვალყურეო საბჭო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო შექმნილია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით. საბჭო შედგება 7 (შვიდი) წევრისგან, კერძოდ:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე.

ქეთევან ზეიწყაშვილი

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს UAG-ის წლიურ ბიზნეს-გეგმას, განიხილავს ბიზნეს-გეგმის შესრულების ანგარიშებს, ამტკიცებს გადაწყვეტილებებს UAG-ის კუთვნილებაში არსებული მსხვილი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით, განიხილავს და ამტკიცებს კომპანიის საქმიანობაში წამოჭრილ არასტანდარტულ ან განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს და ახორციელებს კომპანიის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

დირექტორი

საქართველოს აეროპორტების გაერთიანების დირექტორის დანიშვნასთან ან გათავისუფლებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო პარტნიორთან შეთანხმებით. დირექტორი ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და კომპანიის წესდებით განსაზღვრულ სტანდარტულ საქმიანობას.

კომპანიის სტრუქტურა

კომპანია აერთიანებს ზემოთ ჩამოთვლილ აეროპორტებს და სათაო ოფისს, რომელიც ახორციელებს მთლიანი კომპანიისათვის და ყველა აეროპორტისათვის საჭირო საქმიანობას.

2019 წლის ბოლოსთვის UAG -ში სულ დასაქმებული იყო 407 თანამშრომელი, კერძოდ:

- შპს "საქართველოს აეროპორტების გაერთიანება" (ცენტრალური ოფისი) – 100 თანამშრომელი;
- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - 263 თანამშრომელი;
- მესტიის თამარ მეფის სახელობის აეროპორტი - 18 თანამშრომელი;
- ამბროლაურის აეროპორტი - 18 თანამშრომელი;
- ბათუმის აეროპორტი - 8 თანამშრომელი..

აგრეთვე, ამ პერიოდის განმავლობაში ქუთაისში 29 სტაჟიორი დასაქმდა.

კომპანიის განვითარების გეგმები

კომპანია პერმანენტულად ახორციელებს ღონისძიებებს კომპანიის მმართველობის სისტემის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. ამ მხრივ, აღსანიშნავია რამდენიმე ღონისძიება, რომელიც ბოლო წლებში განხორციელდა და შესაბამისად გაგრძელდება სამომავლო გეგმების კუთხითაც. ეს ღონისძიებები შემდეგია:

- საბუღალტრო საქმიანობას და ფინანსურ აღრიცხვას კომპანია ახორციელებდა ძირითადად მხოლოდ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. 2016 წლიდან კომპანიამ დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა კომპანიაში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) დანერგვას და ფინანსური აღრიცხვის წარმოებას და ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ამ სტანდარტების შესაბამისად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პროექტის ინიცირების და დაწყების დროისათვის ფინანსური ანგარიშგების მომზადება IFRS-ის მიხედვით ჯერ კიდევ არ იყო სავალდებულო და ეს გადაწყვეტილება წარმოადგენდა კომპანიის ნებას, ახალ დონეზე აეყვანა მმართველობითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ასპექტი - ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების წარმოება კომპანიაში. პროექტი დასრულდა 2018 წელს.

ჩიკაბა ზეიდაშვილი

- საქართველოს გაერთიანებულ აეროპორტებში დაინერგა საბუღალტრო-მმართველობითი პროგრამული უზრუნველყოფა „SAP Business One“. პროექტის ძირითადი ნაწილი განხორციელდა 2017 – 2018 წლებში. ამ დროისათვის დაწერგლია საბუღალტრო მოდული და მასთან დაკავშირებული სააღრიცხვო ხასიათის მოდულები. სამომავლოდ, ეტაპობრივად იგეგმება მმართველობითი მოდულების დაწერგვაც, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში მიზნად ისახავს პროცესების უფრო მეტად ავტომატიზაციას და მეტნაკლებად სრულ ERP სისტემაზე გადასვლას.
- საქართველოს აეროპორტების გაერთიანება კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს მნიშვნელოვანი ინფორმაციული სისტემის სუბიექტს. აქედან გამომდინარე, მიმდინარეობს ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის (იუმს) დაწერგვა. მითითებული სისტემის დაწერგვა ხელს შეუწყობს კომპანიაში მიმდინარე ბიზნეს-პროცესების სისტემატიზაციას და არსებული ინფორმაციული აქტივების დაცვას და მათი უსაფრთხოების ამაღლებას.

უნდა აღინიშნოს რომ 2020 წლის საანგარიშო წლიდან კომპანიის სტატუსი შეიცვალა და გახდა საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (სდპ), რაც ნიშნავს დამატებით საანგარიშგებო მოთხოვნებს კომპანიისთვის. UAG ამჟამად ახორციელებს მათ ანალიზს სამომავლოდ დასაწერგად.

გარდა ამისა, კომპანია პერმანენტულად გეგმავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებს, მათი პროფესიული ტრენინგების ორგანიზების და სათანადო კონფერენციებსა თუ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფის გზით.

ინფრასტრუქტურული კუთხით, კომპანიის ახალი ცენტრალური ოფისის მშენებლობა თითქმის დასრულებულია, რომელიც მოწყობილი და აღჭურვილი იქნება თანამედროვე სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად და უზრუნველყოფს სათანადო სამუშაო გარემოს შექმნას თანამშრომლებისათვის.

ამასთანავე, განვითარების კონკრეტულ ღონისძიებებთან დაკავშირებული გეგმები უმეტესწილად შეეხება ამა თუ იმ კონკრეტულ აეროპორტს, ამიტომ შესაბამისი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, თითოეული აეროპორტისათვის, შესაბამისი აეროპორტის ქვეთავში.

ქეთევან ზეიწყაშვილი

ფინანსური შედეგების ანალიზი

2019 წლისთვის კომპანიის მთლიანი ამონაგები 6% -ით გაიზარდა 2018 წელთან შედარებით, 64 159 ათასი ლარიდან 67 997 ათას ლარამდე.

უფრო ვრცლად, შემოსავლების ზრდა პროცენტულად მოცემულია ქვემოთ:

ამონაგები	2019	2018	% სხვაობა
საავიაციო შემოსავალი	34,703	34,289	1%
თბილისი	25,045	27,420	-9%
ქუთაისი	5,762	3,636	58%
ბათუმი	3,809	3,164	20%
მესტია	68	53	28%
ამბროლაური	19	16	19%
არა-საავიაციო შემოსავალი	16,017	12,593	27%
თბილისი	12,255	9,464	29%
ქუთაისი	2,124	1,605	32%
ბათუმი	1,635	1,521	7%
მესტია	-	-	0%
ამბროლაური	3	3	0%
ამონაგები გაცემული უფლებებიდან	17,277	17,277	0%
თბილისი	17,277	17,277	0%
სულ ამონაგები	67,997	64,159	6%

სულ კომპანიის სრული შემოსავალი 2019 წელს 2 072 ათასი ლარი იყო (2018: მოგება 19 ათასი ლარი). საოპერაციო საქმიანობის შედეგები, არაფულადი ამონაგების და ხარჯების გამოკლებით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2019	2018
სულ წლის სრული მოგება/ზარალი	2,072	19
კორექტირებები:	7,961	11,059
ცვეთა და ამორტიზაცია	11,270	12,467
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება	17,790	18,257
გადავადებული ამონაგების ამორტიზაცია	(17,277)	(17,277)
შემოსულობა/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	86	(10)
მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(108)	1365
ვალუტის გაცვლის შემოსულობა/ზარალი (ნეტო)	(867)	(9)
ფინანსური შემოსავალი	(2,933)	(3,734)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	10,033	11,078

ქეთევან ზეიწყაშვილი

სხვა ინფორმაცია საქმიანობის განვითარების შედეგებისა და მდგომარეობის შესახებ

- დეტალური ინფორმაცია კომპანიის ფინანსური მაჩვენებლების შესახებ მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელიც გამოქვეყნებულია წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებასთან ერთად.
- ფინანსურ ანგარიშგებასთან და ფინანსურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტებების მოყვანა წინამდებარე მმართველობის ანგარიშგებაში საჭირო არ არის, ვინაიდან ყველა ასეთი განმარტება თუ ინფორმაცია მოცემულია თავად ფინანსურ ანგარიშგებაში.
- არსებითი ხასიათის კვლევები განვითარების სფეროში 2019 წლის განმავლობაში არ ჩატარებულა.
- კომპანიაში არ განხორციელებულა საკუთარი აქციების შეძენა.
- განვითარების გეგმები და არა-ფინანსური მაჩვენებლები განხილულია ქვემოთ, თითოეული აეროპორტის მიხედვით.

II. ინფორმაცია აეროპორტების შესახებ

როგორც ეს უკვე აღინიშნა, UAG-ის ფარგლებში 5 სამოქალაქო აეროპორტი ფუნქციონირებს. მათგან სამის - ქუთაისის, ამბროლაურის და მესტიის აეროპორტების მართვას და ოპერირებას სრულად ახორციელებს თავად UAG.

რაც შეეხება თბილისის და ბათუმის საერთაშორისო აეროპორტებს, ისინი სამართავად გადაცემული აქვს კერძო კომპანიებს - შპს „ტავ ურბან საქართველოსა“ და შპს „ტავ ბათუმ ოფერეიშენს“. თუმცა ამ აეროპორტების ქონება საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების საკუთრებაა და ასევე საავიაციო უშიშროებას ამ აეროპორტებშიც საქართველოს აეროპორტების გაერთიანება უზრუნველყოფს. საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ახორციელებს ასევე მმართველი კომპანიების მიერ აეროპორტების მართვის მონიტორინგს.

აღსანიშნავია, რომ საავიაციო უშიშროების უზრუნველყოფის სფეროში, უშუალოდ საავიაციო უშიშროების ღონისძიებათა განსახორციელებლად UAG-ს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ „დაცვის პოლიციის დეპარტამენტთან“, რომელიც გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ უშუალოდ ახორციელებს საავიაციო უშიშროების ღონისძიებებს.

შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის საერთაშორისო აეროპორტი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტი ქვეყნის ყველაზე დიდი აეროპორტია. დღეისათვის იგი ყოველდღიურად ათეულობით ავიარების იღებს და უშვებს და მსოფლიოს არაერთ ცნობილ ავიაკომპანიას ემსახურება.

თბილისის აეროპორტის ისტორია მე-20 საუკუნის 50-იანი წლებიდან იწყება. ამ დროის განმავლობაში იგი პერიოდულად იცვლიდა სახეს და მასშტაბს. 90-იანი წლების ბოლოს, უფრო და უფრო აქტუალური ხდებოდა ძველი ინფრასტრუქტურის განახლების და მისი თანამედროვე აეროპორტად ჩამოყალიბების საჭიროება, რაც მსხვილ ინვესტიციებს და სპეციალურ გამოცდილებას საჭიროებდა. ამ მიზნით, აეროპორტი 2005 წელს დროებით სამართავად გადაეცა აეროპორტების ოპერირების სფეროში ერთ-ერთ მსხვილ კომპანიას - „ტავ ჰოლდინგს“, უფრო კონკრეტულად - ამ მიზნით შექმნილ შპს „ტავ ურბან საქართველოს“.

თავი 6

ხელშეკრულების ძირითადი პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ მმართველ კომპანიას ეკისრება გარკვეული საინვესტიციო ვალდებულებები აეროპორტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის, რის სანაცვლოდაც იღებს უფლებას მართოს აეროპორტი გარკვეული დროით და მიიღოს შემოსავალი, რის შემდეგაც აეროპორტი უნდა დაუბრუნოს მესაკუთრეს განახლებული სახით. თუმცა აღსანიშნავია, რომ ინვესტორი მის მიერ აეროპორტის მართვის პერიოდშიც უხდის თავისი შემოსავლის გარკვეულ ნაწილს UAG-ს მართვაში გადაცემის პერიოდის განმავლობაში. ინვესტორი სრულად ექვემდებარება საქართველოს საავიაციო კანონმდებლობას და სტანდარტებს და ვალდებულია, აეროპორტის ოპერირება მათი და საერთაშორისო ნორმების დაცვით განახორციელოს. ასევე, მართვაში გადაცემის ხელშეკრულებით განსაზღვრულია მთელი რიგი მოთხოვნები და მექანიზმები, რომლებითაც უზრუნველყოფილი უნდა იქნას, რომ აეროპორტის მართვა ინვესტორის მიერ განხორციელდეს ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით და ამავე დროს მაქსიმალურად ეფექტიანად.

აღნიშნულ ხელშეკრულებაში რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები მისი სრულყოფის და არსებულ გარემოებებთან მისადაგების მიზნით. ამათგან ყველაზე მასშტაბურ ცვლილებებად შეიძლება მიჩნეული იქნას 2013-2015 წლებში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად შეთანხმებული ცვლილებები, რომელთა შედეგად განახლებული რედაქციის ხელშეკრულება გაფორმდა 2015 წლის მაისში. ცვლილებები ითვალისწინებდა მთელი რიგი დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობას და ინვესტიციების განხორციელებას ოპერატორი კომპანიის მიერ, ასევე ეფექტიანი მართვისა და მონიტორინგის ახალი მექანიზმების ჩადებას ხელშეკრულებაში და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აეროპორტის მართვაში გადაცემის ვადა ამ ცვლილებების დროს არ შეცვლილა და მანამდელ რედაქციაში არსებული ვადა 2027 წლამდე გადაცემის შესახებ უცვლელი დარჩა.

თბილისის აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლები ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

რაც შეეხება აეროპორტის განვითარების სამომავლო გეგმებს, აღსანიშნავია, რომ შესაბამისი ღონისძიებები დეტალურად იყო გაწერილი შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანება“-სა და შპს „ტავ ურბან საქართველოს“ შორის გაფორმებულ, მართვაში გადაცემის შესახებ ხელშეკრულების ბოლო რედაქციაში. აღნიშნული გეგმის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა - აშენდა ჩამოფრენის ახალი ტერმინალი, განხორციელდა ასაფრენი ზოლის მნიშვნელოვნად განახლება, გარემონტდა და გაფართოვდა საჰაერო ხომალდების სადგომები, მოეწყო ახალი საავტომობილო პარკინგი და სხვ.

სამომავლო მიზნებისათვის, UAG მუდმივად აწარმოებს კონსულტაციებს არსებულ ინვესტორთან და სხვა დაინტერესებულ პირებთანაც აეროპორტის შემდგომი განვითარების პერსპექტივების თაობაზე.

გარდა ინფრასტრუქტურის განვითარებისა, აეროპორტის განვითარება ავიაკომპანიების, მიმართულებების და მგზავრების ნაკადის ზრდასაც გულისხმობს. ამ მიმართულებით ორივე მხარის წარმომადგენლები მუშაობენ - როგორც ინვესტორი, აეროპორტის მმართველი კომპანია, ისე საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

ალექსანდრე ქართველის სახელობის ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი

ბათუმის აეროპორტი, უფრო სწორად კომპანია შპს „ბათუმის აეროპორტის“ (რომელიც ასევე ძველი სახელმწიფო კომპანიაა) წილის 100% სამართავად აქვს გადაცემული შპს „ტავ ბათუმი ოფერეიშენს“. აღნიშნული გადაცემა მოხდა თბილისის აეროპორტის გადაცემიდან რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა მხარეთა შორის შედგა მოლაპარაკება, რომ ინვესტორი მზად იყო ბათუმის აეროპორტშიც განეხორციელებინა ინვესტიცია, თუ მას თბილისის აეროპორტის მართვის პერიოდი რამდენიმე წლით გაუგრძელდებოდა.

ალექსანდრე ქართველი

აეროპორტის მიწის ნაკვეთი და სხვა ძირითადი ქონება საქართველოს აეროპორტების გაერთიანების საკუთრებაა და იჯარით არის გადაცემული ბათუმის აეროპორტის კომპანიისათვის.

ბათუმის აეროპორტში ავიარეისების და მგზავრების ნაკადის დატვირთულობა ძირითადად სეზონურია, თუმცა ბოლო წლებში მგზავრების ნაკადის მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა, რის გამოც დადგა ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების საკითხი. აეროპორტის მომავალ ინფრასტრუქტურულ განვითარებაზე პერმანენტულად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ინვესტორ კომპანიასთან. ხოლო, რაც შეეხება აეროპორტის განვითარებას ახალი ავიაკომპანიების მოზიდვისა და ახალი მიმართულებების დამატების კუთხით, ამ მხრივ მუშაობენ როგორც ოპერატორი კომპანია, ისე საქართველოს აეროპორტების გაერთიანება.

ბათუმის აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი

დავით აღმაშენებლის სახელობის ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 2011 – 2013 წლებში აშენდა, ყოფილი საბჭოთა აეროპორტის ადგილას. აეროპორტის ტერმინალი და სანავიგაციო კოშკურა სრულად ახლიდან აშენდა, ხოლო ასაფრენ ზოლს და სხვა სააეროდრომო ინფრასტრუქტურას მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

ქუთაისის აეროპორტი ძირითადად ორიენტირებულია დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიების მოზიდვაზე, რათა ხელი შეუწყოს მგზავრების ნაკადის ზრდას და როგორც შემომყვანი, ისე გამყვანი ტურიზმის ზრდას და განვითარებას, რითაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს როგორც რეგიონის, ისე მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის.

აეროპორტმა ოპერირება დაიწყო 2012 წლის ბოლოს და დღემდე აგრძელებს ზრდას როგორც ავიარეისების, ისე მგზავრების ნაკადის მიმართულებით და ასევე არასავიაციო დამატებითი შემოსავლების წარმოქმნის კუთხითაც.

ოპერაციების ზრდასთან ერთად, პერიოდულად ხორციელდებოდა აეროპორტის ინფრასტრუქტურის დამატებითი განვითარების ღონისძიებები - ახალი ავტოპარკინგების დამატება, გასასვლელის (ე.წ. Gate) და სარეგისტრაციო დახლების დამატება, სხვადასხვა დამხმარე შენობების და ნაგებობების მშენებლობა, დამატებით სპეციალური აღჭურვილობის შეძენა და სხვ.

თუმცა ყველაზე მსხვილ პროექტად შეიძლება მივიჩნიოთ 2016-2017 წლებში განხორციელებული სამუშაოები, როდესაც აშენდა მეორე სამიმოსვლო ბილიკი, გაფართოვდა აეროდრომის ბაქანი რითაც საჰაერო ხომალდების სადგომების ოდენობა გაიზარდა 3-დან 9-მდე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა მთელი აეროდრომის (300 ჰა) სანიაღვრე სისტემას, სრულად შეიცვალა აეროდრომის ბაქნის განათების სისტემა და სხვ.

რაც შეეხება სამომავლო განვითარების გეგმებს, 2017 წელს დაიწყო და დღეისათვის მიმდინარეობს ასევე მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი - ახალი სამგზავრო ტერმინალის მშენებლობა, რომელიც დასრულების შემდეგ არსებულ ტერმინალს შეუერთდება და ერთობლიობაში არსებულზე 3-ჯერ დიდი ფართობის ტერმინალს მივიღებთ. ეს ცვლილება რამდენჯერმე გაზრდის ტერმინალის გამტარუნარიანობას და გაფართოვებულ სააეროდრომო ინფრასტრუქტურასთან ერთობლიობაში, რომელზეც ზემოთ აღვნიშნეთ, უფრო მიმზიდველს გახდის აეროპორტს მთლიანობაში ახალი ავიაკომპანიებისათვის.

აღნიშნულს ხელს შეუწყობს კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან კოორდინაციით საქართველოს რკინიგზა ახორციელებს - ეს არის აეროპორტის მიმდებარედ სარკინიგზო სადგურის მოწყობა, რაც ამავე დროს დამატებით კომფორტს შექმნის მგზავრებისათვის.

ქეთევან ჭყეიშვილი

გარდა ამისა, მიმდინარეობს განხილვა აეროპორტის ასაფრენი ზოლის კაპიტალური რეკონსტრუქციის ან ახალი ზოლის მშენებლობის შესახებ, რაც ასევე დადებითად იმოქმედებს აეროპორტის გამტარუნარიანობაზე.

რაც შეეხება ავიაკომპანიებს და მიმართულებებს, ამ ეტაპზე, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ყველაზე მსხვილი გადამყვანი არის ცნობილი ევროპული დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია WIZZ AIR, რომელიც ქუთაისიდან ევროპის 28 ქალაქის მიმართულებით ასრულებს პირდაპირ ავიარეისებს. აღსანიშნავია ავიაკომპანიას თავად ქუთაისის აეროპორტშიც ჰყავს ბაზირებული 3 საჰაერო ხომალდი. 2019 წლის ბოლოსთვის, ასევე კარგად ცნობილმა დაბალბიუჯეტის ავიაკომპანია RYANAIR-მა დაიწყო ოპერირება საქართველოში, ქუთაისიდან 2 მიმართულებით, ხოლო თბილისიდან 1 მიმართულებით.

სამომავლო პერსპექტივების თვალსაზრისით, UAG აქტიურად მუშაობს როგორც არსებულ ავიაკომპანიებთან მათი ოპერირების მასშტაბის გაზრდის მიზნით, ისე ახალი, მათ შორის დაბალბიუჯეტის ავიაკომპანიების შემოყვანასთან დაკავშირებით.

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

თამარ მეფის სახელობის მესტიის აეროპორტი

მესტიის აეროპორტი ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტია, რომელიც 2010 წლის ბოლოს აშენდა. მისი ძირითადი მიზანია სვანეთის რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა და ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწრაფი და ეფექტური ტრანსპორტირების ალტერნატივის შექმნა, რაც რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. მთავრობის დავალების საფუძველზე, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ასევე ახორციელებს შიდა ფრენების ორგანიზებას, რისთვისაც გარკვეული თანხების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

ამ ეტაპზე აეროპორტი, არსებითად აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს, თუმცა არსებული ოპერირების ხარისხისა და მგზავრთა კომფორტის გაზრდის მიზნით, იგეგმება გარკვეული დამხმარე შენობების მშენებლობა და განიხილება ასევე ახალი, შედარებით დიდი ზომის ტერმინალის მშენებლობის შესაძლებლობები.

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

ამბროლაურის აეროპორტი

ამბროლაურის აეროპორტი, მესტიის აეროპორტის მსგავსად, ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტია, რომელიც 2016 წლის ბოლოს აშენდა. მისი ძირითადი მიზანია რაჭის რეგიონში ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა და ასევე ადგილობრივი მოსახლეობისთვის სწრაფი და ეფექტური ტრანსპორტირების ალტერნატივის შექმნა, რაც რეგიონში ადგილობრივი მოსახლეობის შენარჩუნებასაც უწყობს ხელს. მთავრობის დავალების საფუძველზე, საქართველოს აეროპორტების გაერთიანება ასევე ახორციელებს შიდა ფრენების ორგანიზებას ამბროლაურის მიმართულებითაც, რისთვისაც გარკვეული თანხების გამოყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

აეროპორტი, ამ ეტაპზე აკმაყოფილებს არსებულ საჭიროებებს, თუმცა აღსანიშნავია, რომ აეროპორტის ტერმინალი და სააეროპორტო ინფრასტრუქტურაც დაპროექტებული და მოწყობილია იმგვარად, რომ ითვალისწინებს მომავალში გაფართოების შესაძლებლობას. აღნიშნული აეროპორტის შემდგომი განვითარების საკითხი განხილულ იქნება ბაზარზე არსებული მოთხოვნის და საჭიროებების ზრდის მიხედვით.

ქეთევან ჭყეშელაშვილი

აეროპორტის ძირითადი რაოდენობრივი მაჩვენებლებიც (ავიაკომპანიების, მიმართულებების, მგზავრების ნაკადის შესახებ) მოცემულია ქვემოთ, ერთიან ცხრილში, ყველა აეროპორტისათვის.

ინფორმაცია საერთაშორისო აეროპორტებსა და მიმართულებებზე ოპერაციების განმახორციელებელი ავიაკომპანიების შესახებ

აეროპორტი	ავიაკომპანია	მიმართულება
თბილისი	42	60
ბათუმი	24	23
ქუთაისი	5	31

შენიშვნა: ავიაკომპანიებისა და მიმართულებების რაოდენობა ცვალებადია, სეზონის მიხედვით.

აეროპორტებში მგზავრების ნაკადის ზრდის სტატისტიკა 2012-2019 წლებში

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
თბილისი	1 220 832	1 436 629	1 575 707	1 847 534	2 252 543	3 164 275	3,808,651	3,692,198
თბილისი ზრდა %		17,7%	9,7%	17,3%	21,9%	40,5%	20%	-3.1%
ბათუმი	168 362	208 935	213 820	226 477	312 379	495 704	598,862	624,178
ბათუმი ზრდა %		24,1%	2,3%	5,9%	37,9%	58,7%	21%	4.2%
ქუთაისი	12 916	188 682	218 003	182 954	271 363	405 698	617,342	873,907
ქუთაისი ზრდა %		1360,8%	15,5%	-16,1%	48,3%	49,5%	52%	41.6%
მესტია	2 922	881	1 131	4 458	4 214	7 152	6,741	8,266
მესტია ზრდა %	-	-69,8%	28,4%	294,2%	-5,5%	69,7%	-6%	22.6%
ამბროლაური	-	-	-	-	-	1 609	1,523	1,866
ამბროლაური ზრდა %	-	-	-	-	-		-6%	22.5%

აღსანიშნავია, რომ 2019 წლის ივნისიდან აეროპორტებში არ სრულდება ფრენები რუსეთის მიმართულებით და მიუხედავად სხვა რეგიონებიდან მგზავრების რაოდენობის ზრდისა, თბილისის აეროპორტში მგზავრების რაოდენობის მცირედით შემცირებას ჰქონდა ადგილი.

III. რისკები

კომპანიის საქმიანობისათვის ძირითადად რისკებისა და გამოწვევების განმსაზღვრელ ფაქტორებს შესაძლოა წარმოადგენდეს ქვეყანაში და რეგიონში არსებული ზოგადი პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო და მოვლენები, მათ შორის, სავალუტო კურსის მერყეობა. ასევე რეგიონის და გარკვეულწილად - ევროპის საავიაციო ბაზარზე არსებული ეკონომიკური ვითარება. ასევე, გასათვალისწინებელია ზოგადად სამოქალაქო ავიაციისათვის საერთო უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების გამოწვევები.

კომპანია შეძლებისდაგვარად, ყველა განსაკუთრებულ გარემოებაში, ითვალისწინებს აღნიშნულ რისკებს თავის საქმიანობაში. კერძოდ, ფულადი სახსრების აკუმულირებას კომპანია ახდენს სხვადასხვა ვალუტაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სხვადასხვა ვალუტაში (რადგან შემოსავალი შეიძლება იყოს სხვადასხვა ვალუტაში) ვალდებულებების შესრულებისას კურსის ცვალებადობით მოსალოდნელი ზარალის თავიდან აცილება.

ქეთევან ჭყეშელაშვილი

რაც შეეხება ზოგად ეკონომიკური ხასიათის რისკებს, თავისი ძირითადი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელებისას (ავიაკომპანიებთან მოლაპარაკებები, მათთვის სააეროპორტო ავიაკომპანიებისთვის სერვისების გაწევა, უძრავი ქონების მართვა და სხვ.) კომპანია ითვალისწინებს არსებულ ეკონომიკურ გარემოს პოტენციური გარიგებების თუ თავისი სერვისების კომერციულ პირობებზე ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება უსაფრთხოების და საავიაციო უშიშროების რისკებს, კომპანიის შესაბამისი სამსახურები სისტემატურ რეჟიმში უზრუნველყოფენ კომპანიის საქმიანობის შესაბამისობას სათანადო სტანდარტებთან და რეგულაციებთან, კონკრეტული ვითარების მიხედვით ახდენენ შესაბამისი რისკების შეფასებას და ახორციელებენ მათი გავლენის აღმოფხვრისა თუ შემცირების ღონისძიებებს.

COVID-19. 2019 წლის ბოლოს გავრცელდა ინფორმაცია ჩინეთიდან COVID-19-ის (კორონავირუსის) შესახებ. წლის ბოლოსთვის მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციას აცნობეს შეზღუდული რაოდენობის უცნობი ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების შესახებ. 2020 წლის პირველ რამდენიმე თვეში ვირუსი გავრცელდა გლობალურ დონეზე და მისმა ნეგატიურმა გავლენამაც არ დააყოვნა. COVID-19-ის გავრცელების თავიდან ასაცილებლად, საქართველოს მთავრობამ მთელი რიგი სამართლებრივი ქმედებები განახორციელა: 2020 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ, რომელიც გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისამდე. ხელმძღვანელობა პანდემიას ბალანსის შემდგომ არამაკორექტირებად მოვლენად მიიჩნევს. ვინაიდან კომპანიის ძირითადი ამონაგები წარმოიქმნება ფრენების და მასთან დაკავშირებული მომსახურებებისგან და ვინაიდან ყველა სამგზავრო ფრენა შეჩერებულია, კომპანიის ამონაგების გენერირება უმეტესწილად შეჩერებულია, ვიდრე არ მოიხსნება შეზღუდვები ფრენებზე. კომპანიამ დააკორექტირა 2020 წლის ბიუჯეტი და აგრძელებს ოპერირებას ოპტიმიზირებული ხარჯებით. კომპანია მოელის მგზავრების 30% ფრენების დაწყებიდან პირველი სამი თვის განმავლობაში და მგზავრების 50% შემდგომი სამი თვის განმავლობაში. თუმცა, რადგანაც წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოშვების მომენტისთვის ეს სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, სამომავლო ეფექტის საიმედოდ პროგნოზირება შეუძლებელია. ხელმძღვანელობა აგრძელებს პოტენციური გავლენების მონიტორინგს და მიიღებს ყველა საჭირო ზომას ნებისმიერი ნეგატიური გავლენის თავიდან ასაცილებლად.

თამარ არჩუაძე

დირექტორი

ქეთევან ელოშვილი

ფინანსური მენეჯერი

ქეთევან ელოშვილი

სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის ნომერი

N200664304



სანოტარო მოქმედების
რეგისტრაციის თარიღი

08.09.2020 წ

სანოტარო მოქმედების
დასახელება

დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის
ხელმოწერის დამოწმება

ნოტარიუსი

სალომე სალუქვაძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I სართული,
კომერციული ფართი #4, 3ა

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

597999990

სანოტარო მოქმედების
ინდივიდუალური ნომერი

70684931898320



ორიათას ოცი წლის რვა სექტემბერს, მე, სალომე სალუქვაძე, ნოტარიუსი ქ. თბილისში, რომლის
სანოტარო ბიუროს მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. #13, I
სართული, კომერციულ ფართი #4, 3ა-ში, ვამოწმებ თარგმანის ქეთევან ზეჟიტაშვილის, დაბ. 09.04.1979წ.
პირადი #01018003510, პირადობის მოწმობა #111B13032 /დიპლომი #AA 0067541, გაცემული ილია
ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2001წ./
ხელმოწერის ნამდვილობას, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - შპს საქართველოს აეროპორტების
გაერთიანება ფინანსური ანგარიშგება, მმართველობის ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის
დასკვნა 2019წლის 31 დეკემბერი, თარგმანზე. მე ნოტარიუსმა გავაფრთხილე თარგმანი, რომ იგი
პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე. მან დამიდასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და
უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს. თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.
გადახდილია საზღაური: "სანოტარო მოქმედებათა შესრულებებისათვის საზღაურისა და
საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი
გადახდვების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის
2011 წლის 29 დეკემბერს მიღებული #507-ე დადგენილების 31.3-ე მუხლის თანახმად 126.00 ლარი და
39.1. მუხლის თანახმად ელექტრონულ რეგისტრაციისათვის 2.00 ლარი. სულ გადახდილია
128 (ასოცდარვა) ლარი.

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის მისი შექმნის, შეცვლის და/ან
გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-
გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

